

ო გ ლ ი ს ი
1938 წ.
№ 148
პარიზი

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

JUILLET

1938 — № 148

Paris

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—პრომეთეს ფრონტი.
კოსტანტინე საბახტარიშვილი.
ს. შან.—დამოუკიდებლობიდან რუსიფიკაციამდე ილია ნუცუბიძე—თავის ლიკვიდაცია.
რ. ინგილო—ბოლოსიტყვაობა «კავკ.» მიმართ.
P. E. D.—ვაი დამარცხებულთ.
ფრანგი მწერალი რუსთაველისთვის.

ემ. ლომ-ძე—სასიამოვნო შეხვედრა.
ს. ასათიანი—მეგობრის სსოვნას.
კ. საბახტარიშვილის დასაფლავება.
კ.—წერილი გერმანიიდან.
ლევან ზ.—Georgica № 4-5.
გ. ყ.—ბიბლიოგრაფია.
26 მაისის დღეობა. და სხვა.

პ რ ო მ ე თ ე ს ო რ ო ნ ტ ი

I. ი დ ე ო ლ ო გ ი ა .

ამ უქანასკნელად ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ პრომეთეს ფრონტზე. მას ჰყავს მტრები. მაგრამ ხშირად მეგობრებიც ვერ გარკვეულან, რას წარმოადგენს იგი და ასე წარმოიდგინეთ, დათვის სამსახურსაც კი უწევენ მას!

ჩვენი ეროვნული ორგანო «დამოუკიდებელი საქართველო», როგორც მკითხველმა უწყის, მეცამეტე წელია, საბჭოთა კავშირის არარუს ერთა გაერთიანებული ბრძოლის ნიადაგზედ სდგას, საერთო მტრის, მოსკოვის იმპერიალიზმის, დასაძლევად და ერთა განთავისუფლებად—დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ფრანგულ ორგანოს, რომელიც «დამ. საქართველო»-ს ერთი წლის შემდეგ გამოვიდა, ქართველების წინადადებით, «პრომეთე» დაერქვა. კავკასიონის მწვერვალზე «მიჯაჭული ამირანი» განა ამის საკმაო ახსნას არ იძლეოდა!

ჩვენ მხარული ვართ, რომ ამ სახელწოდებას—პრომეთეს (ამირანს)—ამდენი მიმდევარი გაუჩნდა სხვა ეროვნულ სექციებში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვჭირია, ზოგიერთ მათი ორგანოს ახსნა-განმარტება, რა პრომეთეს ფრონტი, ან რაში უნდა მდგომარეობდეს მისი იდეოლოგია და ტაქტიკა.

ავიღოთ იდეოლოგია. ერი, მისი კულტი, მისთვის თავდადება—აი რას ეკუთვნის პირველობა

ყოველ ჩვენს მოქმედებაში—გვეუბნებიან ზოგიერთები, ახლად გამოჩევილი პროპაგანდისტები პრომეთეს ფრონტიდან, და თან მიგვითითებენ იმ სახელმწიფოებზე, დასავლეთში, სადაც ეგრედ წოდებული ეროვნული მისტიკა და დინამიზმი დიდ პატივშია.

ჩვენ გვაკვირვებს და თანაც ვწუხვართ, რომ ესენი ეროვნულ მისტიკას და დინამიზმს სხვა ერში და ქვეყნებში ეძებენ და არა საკუთარ ერსა და ქვეყანაში! მაშ ის გმირული ბრძოლები, ის უამრავი მსხვერპლი, რომელსაც ჩვენი ერები და ქვეყნები სწირავენ განუწყვეტლივ თავისუფლების საქმეს, არაფერი ყოფილა! მაშ ტყუილა ამხედრებულან სტალინი და მისი დამქაშნი ამ ერთა წინამდევ, სწყვეტენ მათ რჩეულ შვილებს ასობით და ათასობით, თვით არარუს კომუნისტებსაც არ იწოდობენ!

არა, მისტიკა და დინამიზმი ჩვენ სხვაგან არა გვაქვს საძებარი, არც მისაბადი. ეს რომ ასე იყოს, ჩვენი საქმე წინდაწინვე წაგებულ იქნებოდა. ჩვენი ძალა და მხნეობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ერები იქ, თავის მიწა-წყალზედ, ეწევიან ისტორიულ, ლეგენდარულ ბრძოლას—აი რატომ ვუწოდებთ ჩვენ, ქართველები, მას პრომეთეს, ამირანის საგმირო საქმეებს.

ჩვენთვის სულ ადვილი ასახსნელია, რატომ მო-

სდით ხსენებულ პროპაგანდისტებს ეს შეცდომა. ჩქარა მეორე ათეული წელი გაივლის, რაც ისინი მოწყდნენ საკუთარ მიწა-წყალს, გრძობენ ერთგვარ სიცალიერეს, შერჩათ ფორმა, ძველი ფრანგები, ხოლო შინაარსს, სულს იმ ქვეყნიებიდან სესხულობენ, სადაც ფიზიკურად ცხოვრობენ. მაგრამ ეგ ხომ ემიგრანტული სულისკვთების დამახასიათებელი მოვლენაა!

ეს ახსნა კიდევ უკეთ უდგება მეორე შეცდომას, გაცილებით უფრო მიუტყვებელს. პროპაგანდისტები გაუტაცნია დასავლეთის ზოგიერთ შინაურ რეჟიმს და გვეუბნებიან: გინდათ არ გინდათ, მის ადებტად უნდა გამოაცხადოთ თავიო. რად დასჭირდათ ეს მათ, განა ჩვენი ქვეყნები თავისუფალია, განა გვაქვს ჩვენი ტერიტორია, სადაც ეს რეჟიმი დავამყაროთ? მაშ რაშია საქმე, თუ არა იმაში, რომ ეს ხალხი სულიერად ემიგრანტად ქცეულა, დაკარგვია იმედი სამშობლოში დაბრუნებისა და უნდა შეეგუოს, შეუთვისტომდეს იმ ქვეყანას, რომელზედაც ის დღეს მიკრულია!

დავუშვათ ერთ წუთს, რომ დასავლეთის ტოტალურმა რეჟიმმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში—სტალინი ხომ თავსაც არ ზოგავს, რათა თავისი დამონებული ერები საერთო, საკავშირო ნაციონალისტური მისტიკით გამსჭვალოს და მით რუსეთის გაშიშვლებულ იმპერიალიზმს ახალი დინამო-მანქანა შეუყენოს. დავუშვათ ეს და ვკითხოთ ჩვენსავე თავს, განა ამით იცვლება რამე ჩვენს იდეოლოგიაში? განა შეურიგდებოდით ასეთ რუსეთს?—ვეკითხებით პროპაგანდისტებს. ესენი ალბად შეურაცყოფად მიიღებენ ასეთ შეკითხვას: ჩვენთვის მიუღებელია ყოველნაირი რუსეთიო—მოგიგებენ ისინი. მაშ რაშია საქმე, რად აწვევიან ისინი რეჟიმის საკითხს, როცა მათ წინა სდგას ქვეყნის განთავისუფლების საკითხი? ვის გაუგონია სახურავიდან დაიწყო სახლის შენება?

მაგრამ აქ ისმის მეორე კითხვა, გაცილებით უფრო საყურადღებო და არსებითი. ვინ მოგცათ უფლება, საიდან შეგწევთ კადნიერება, აქედან, უცხოეთიდან უკარნახოთ ერებსა და ქვეყნებს, რომელთა წარმომადგენლობას თქვენ ჩემულობთ, მომავალი შინაური რეჟიმი? «მომავალი» ვა? ბთ იმიტომ, რომ ეს ერები და ქვეყნები დღეს მტრის, რუსეთის გაუგონარი უღლის ქვეშ გმინავენ და სისხლიდან იცლნიან მის გადასადგებად. ან იქნება თქვენ არა გწამთ, რომ ეს ერები, განთავისუფლების მეორე დღეს, თავის შესაფერს შინაურ რეჟიმსაც შექმნიან!

ვწუხვართ, რომ ასეთი საანბნო რამის წერა გვიხდება. ქართველებს ეგ არ სჭირიათ, ყოველ შემთხვევაში, მათ შექმნეს, როცა თავისუფალი იყვნენ, თავისი რეჟიმი. კიდევ მეტი, დასავლეთის ბევრ ახალ სახელმწიფოს, დიდი ომის შემდეგ, თავისი დაწერილი კონსტიტუცია არ ჰქონდა, როცა იგი ერთხმად მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, მტრის, სწორედ რუსეთის, ზარბაზნების გრავიზის ქვეშ. განა დიდი, საშუალო და პატარა სახელმწიფოების მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა იმით არ იყო გამოწვეული, რომ ქართველმა ერმა ასეთი უნარი გამოიჩინა თავის სახელმწიფოს სწრაფად შექმნაში? ქართველ ერს შეუძლია, რათქმა უნდა, თავისი კონსტიტუცია შესცვალოს, გარდაქმნას მომავალში, მაგრამ უცხოეთიდან ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმის ხელში აღება მხოლოდ არამკითხვს, მეტიჩარას შეუძლია დაიჩემოს.

პრომეთეს ფრონტი იმისთვის არსებობს, რომ დარაზმოს საბჭოთა ჩაგრული ერები ადგილობრივ და მათი ეროვნული სექციები უცხოეთში. შთაბეროს მათ ურთიერთი ნდობის, მეგობრული კავშირის ძლევამოსილი სული ერთად-ერთი მაღალი მიზნისათვის: საერთო მტრის, რუსეთის ბატონობის ერთგულ და სამუდამოდ მოსასპობად, მისი ურდობის ამ ერთა მიწა-წყლიდან განდევნით. რა შუაშია აქ რეჟიმი? ვსთქვათ, ჩვენს მაღალ მიზანს მივალწიეთ, განვთავისუფლდით, რა ხელი აქვს, მაგალითად, თავისუფალ უკრაინას კავკასიის ან თურქესტანის შინაური რეჟიმის დაწესებაში? განა ეს დიდი ერთეულები ერთ სახელმწიფოს შეადგენენ, რომ რეჟიმზე გავმართოთ აქ, უცხოეთში, ჯირითი?

ერთი სიტყვით, ვინც რეჟიმის გამო სტეხს კამათსა და დავიდარებას, მას ან არ ესმის, რას სჩადის, ან შეგნებულად სთესავს ერთა და სექციათა შორის უნდობლობას, გაუტანლობას და მით პრომეთეს ფრონტს დაშლით ეშუქრება. ეს იქნებოდა დიდი დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე.

ერთგულ და სამუდამოდ უნდა დაიმასხვრონ ახლად გამოჩეკილმა პროპაგანდისტებმა. რომ რეჟიმის კითხვა აინტერესებთ მარტოდენ რუსის ემიგრანტებს, განურჩევლად პარტიული თუ ფილოსოფიური ტენდენციებისა. ეს გასაგებიცაა: მათ სამშობლოს არ პყრობს გარეშე ძალა, ის დამონებული არაა სხვა ერის მიერ, პირიქით, მათი ერთი პყრობს და ანადგურებს ჩვენს ერებს, და თუ ემიგრაციაში ამოყვეს თავი, ეს იმიტომ, რომ მათმა შინაურმა რეჟიმმა გაყარა ისინი გარედ.

სულ სხვა არარუს ემიგრანტთა ბედი, ესენი გაყარა არა შინაურმა რეჟიმმა. არამედ უცხო ძალამ, საოკუპაციო ჯარმა. მაშასადამე, მათი მის წრაფება ამ ოკუპაციის მოხსნა—ი რაში მდგომარეობს ჩვენი ისტორიული ამოცანა, რომლისათვის არ უნდა ვზოგავდეთ ჩვენს ძალღონეს.

მაგრამ სწორედ ამას ებრძვიან გამწარებით რუსის ემიგრანტები, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყვენ ისინი: მონარქისტები, დემოკრატები, სოციალისტები თუ ტროცკისტები. განა არ ვიცით, რომ ისინი მზად არიან მთელი საუკუნე ითმინონ კიდევ ბოლშევიკური რეჟიმი, ოღონდ საბჭოთა დღევანდელი საზღვრები ხელუხლებელი დარჩეს!

ცხადია აქედან, რომ, როცა კითხვა საბჭოთა

კავშირის მთლიანობას ეხება, რუსები რეჟიმის კითხვას იგივეებენ და საერთო ძალით ჩვენ, ჩაგრულ ერებს, გვიტყვენ. განა გავიწყობა, დიდი სიბეცე, სისულელე არ იქნებოდა, რომ ჩვენ ამ დროს რეჟიმზე დაგვეწყო კამათი და ბრძოლა?! არა, რუსების იმპერიალიზმს, სულ ერთია. წითელს, შავს თუ თეთრს, უნდა დაუპირდაპირდეს ჩვენი აღზნებული პატრიოტიზმი; პირველი კონსერვატიული, რეაქციული ძალაა, მეორე—ეროვნული, რევოლუციური, აქედან პირველის დამარცხება და მეორის გამარჯვება ჩვენი დროის გარდაუვალი კანონია.

ჩვენ საკმაოდ ვიმსჯელებთ პრომეთეს ფრონტის იდეოლოგიაზე, ესლა გვმართებს მის ტაქტიკაზე შევიჩრდეთ.

კონსტანტინე საბახტარიშვილი

დიდი ხნის და მძიმე ავანტიურის შემდეგ, 21 ივლისს, საფრანგეთში გარდაიცვალა კონსტანტინე (კოწია) საბახტარიშვილი, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

ყველა, ვინც მას იცნობდა აქ თუ საქართველოში, დიდის მწუხარებით შეხვდებოდა ამ ამბავს, რადგან განსვენებული სულ 54 წლის კაცი თუ იყო, და ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო სამსახური ჩვენი ქვეყნისთვის.

სულ ახალგაზრდა დაეწაფა იგი რევოლუციონურ მოძრაობას და სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრი გახდა; ბრალდებული 1905 წლის რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისთვის, იგი იძულებული იყო უცხოეთში გახიზნულიყო, სადაც დაჰყო მთელი ათი წელიწადი; აქ მიიღო მან (ყენევაში) უმაღლესი განათლება.

1917 წლიდან, მეორე რევოლუციის შემდეგ, ჩვენ მას ვხვდებით სულ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ხან ხალხის მიერ არჩეულს, ხან მთავრობის მიერ დანიშნულს. ის პირველი ქალაქის თავი იყო განახლებულ თვითმართველობის ქ. ბათომში; ეს ის დრო იყო, როცა ყოველგან ყოფ. რუსეთის იმპერიაში ანარქია იყო გამეფებული, გაბოლშევიკებული რუსის ჯარი ფრონტიდან გამოქცეული ქალაქს არბევდა და ბოლოს დროებით გამარჯვებულმა ოსმალეთის ჯარმა დაიკავა კიდევ ბათომი. ყოველ მხრივ მძიმე იყო ამ დროს ქალაქის მოურავის მდგომარეობა ბათომში, მაგრამ კ. საბახტარიშვილს თავი ღირსეულად ეჭირა; იგი გასაჭირს არ შეუშინდა, თავგამოდებით ზრუნავდა მცხოვრებთა ფიზი-


კურ გადარჩენაზე და ამავე დროს ამ მრავალ ერიან ქალაქში, განსაკუთრებით იმ გარდამავალ ხანაში, ქართული გავლენის შენარჩუნებაზე.

დამოუკიდებელ საქართველოში კ. საბახტარიშვილი მცირე ხანს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი იყო, შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრად იქმნა არჩეული და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად მოწვეული. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე გაატარა მან უდიდესი დრო დამოუკიდებელ საქართველოს სამსახურში; სხვათა შორის, ამ თანამდებობაზე მყოფი იგი ხელმძღვანელობდა იტალიაში მისი მეთაურობით წარგზავნილ განსაკუთრებულ მისიას, რომლის მუშაობამ ხელი შეუწყო საქართველოს და იტალიის ეკონომიურ დაახლოებას.

საქართველოს დაპყრობის და უცხოეთში წამოსვლის შემდეგ, განსვენებული აქ განაგრძობდა მხნედ მუშაობას, კერძოდ უცხო წრეებში. მაგრამ უკვე 1932 წლიდან იგი დაავითმყოფდა, ლოგინად ჩავვრდა და მას შემდეგ თითქმის განუწყვეტლივ მძიმე ავად იმყოფებოდა; ხან პარიზის საავადმყოფოებში იწვა და ხან სოფ. ლევილიში თავის ბინაზე, სადაც აქვე მცხოვრები მეგობრები ნამდვილ მშობლიურ სიყვარულით უვლიდნენ მას; არაფერმა უშველა...

განსვენებული კ. საბახტარიშვილი პირად ცხოვრებაში წყნარი კაცი იყო, სხვებთან დამოკიდებულებაში მეტად ზრდილი და თავაზიანი, ხოლო საზოგადო საქმეში ბეჯითი და მუყაითი აღმასრულებელი ნაკისრებ მოვალეობის.

მან პირნათლად შეასრულა თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე; მაღლიერი ერი მას არ დაივიწყებს.



დამოუკიდებლობიდან რუსიზიკაციაში

დღეს ბრძოლები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმი დაკნინდა და გადაგვარდა. ეს ამბავი მხოლოდ მას აკვირვებს, ვინც ლენინის მოძღვრებაში და მის მიერ შექმნილ სახელმწიფო ორგანიზმში სიკაცობრიო იდეალთა განადგობის საწინდარს ხედავდა. ჯერ იყო და მოსკოვის მესვეურებმა, სიტყვით, სოციალური სამართლიანობა და ჩაგრულ ერთა თავისუფლება საქვეყნოდ აღიარეს და, ვითომც, მის განსახორციელებლად ბრძოლა თავის მიზნად დაისახეს. გულუბრყვილონი შინ და გარედ, ამ სანახაობით მოხიბლულნი, ალტაცებაში მოდიოდნენ. მათ მხედველობიდან გამოეპარათ, რომ მოსკოვის მაღალფარდოვან ლოზუნგებში ძველ სლავიანოფილების ველიკორუსული, იმპერიალისტური პოლიტიკა იმალებოდა. «სოციალური სამართლიანობა» და «ეროვნული ლიბერალიზმი» ცამ პოლიტიკის მხოლოდ დემაგოგიური საფარი იყო გულუბრყვილოთა მოსატყუებლად მოგონილი. ეს რუსული თვალთმაქცობა ყველაზე მუხანათური ეროვნულ საქითხში აღმოჩნდა, რამაც ზოგი არარუს ერთა ინტელიგენციის ნაწილი შეცდომაში შეიყვანა და სწორ გზას ააცდინა. ამ პერიოდში მოსკოვის «ნაციონალური პოლიტიკის» ტაქტიკა შემდეგში მდგომარეობდა: იგი ფორმალურად უტოვებს არარუს ერებს დამოუკიდებლობის გარეგან ატრიბუტებს; იქ, სადაც ეს არ იყო დასრულებული, ახდენს ადგილობრივი ცხოვრების ნაციონალიზაციას, ხელს უწყობს დედაენის და ლიტერატურის, ვითომცდა, აღორძინებას და მით ცდილობს, ითამაშოს ჩაგრულ ერთა ნაციონალურ გრძობებზე. ეს იყო, თუ გნებავთ, ერთგვარი ღრმა სტრატეგიული შემოვლა ამ ერთა ნაციონალური მოძრაობის ზურგში, — რასაც უნდა მიეცა, მოსკოვის ანგარიშით, ნაციონალური ხელმძღვანელობის მოჭრა საკუთარ ეროვნულ მასებიდან — ერთის მხრივ და ამ ჩაგრულ ერთა სიმპატიების მოხვეჭა მეორე მხრივ. მოსკოვის თვალში ამ მიზნის მიღწევა მით უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, რომ დაპყრობილ ერების სათავეში ყოველგან მოსკოვის ერთგულნი ისხდნენ, როგორც ადგილობრივი კომუნისტების, ისე ცენტრიდან მოვლენილ ემისრების სახით.

მაგრამ ცხოვრება სხვა გზით წავიდა და მოსკოვმა საწინამდევლო შედეგი მიიღო. ჩაგრულ ერებმა თავისებურად გაიგეს და გამოიყენეს ბოლშევიკების მანერვი. მათ არა თუ გააეროვნეს თავისი ადგილობრივი დაწესებულებები, სკოლები, სასამართლო და

ადმინისტრაცია, არამედ მოახდინეს ადგილობრივი ცხოვრების დერუსიფიკაცია. ამ მხრივ, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ნაციონალური ინტელიგენციის ნაწილთან ერთად ას პროცენტის კომუნისტებიც, თავის უნებლიედ, ხდებიან მასების ეროვნულ მისწრაფებათა გავლენის ქვეშ; ითვისებენ და «იწამლებიან» ადგილობრივი პატრიოტიზმით. ამ გზით სვლა, ცხადია, საბოლოო ანგარიშით ნიშნავდა რუსეთისაგან თანდათან დაშორებას და მოსკოვის მუხანათური გეგმების ჩაფუშვას.

შეუძლებელი იყო, საბჭოთა ხელისუფლებას ეს პროცესი გამოეპარებოდა, არ დაენახა, თუ ადგილობრივ ერების სათავეში ჩამდგარი აპარატი, როგორ იქვინებოდა ნაციონალური გრძობებით. და აი აქ იწყება ნიღბის ახსნა, მგლის კბილების გამოჩენა და ნამდვილი რუსული პოლიტიკის წამოყენება. ამ დღიდან მოსკოვი ურტყამს და ანადგურებს არა მარტო ნაციონალურ ინტელიგენციას, არამედ ხვრეტს და სპობს გუშინ მოსკოვისათვის სანდო და ერთგულ ადგილობრივ კომუნისტებს. რაც ეშმაკობით და თაღლითობით არ გაუვიდა, ის ძალადობით და ხმლით უნდა ჩაგრულ ერებს თავს მოახვიოს. აქ მოსკოვის მიზანია — არარუს ერებს მოუსპოს და გადაუჭრას ნაციონალური გავითარების გზები; თავი მოჰკვეთოს და ასე სისხლიდან დაკლილი ველიკორუსულ ფარეხში დააბას და მით ერთი რუსის ერი გამოსჭედოს.

ამ მოსაზრებას ადასტურებს მოსკოვის მთავრობის უკანასკნელი დადგენილება, სადაც იგი «რუსული ენის შესწავლას საბჭოთა ყველა მოქალაქისათვის» სავალდებულოდ აცხადებს. ამ დადგენილების შინაგან ზრახვებს გულახდილად გვამცნობს 7 ივლისის «პრავდა». იგი სწერს: «მთავრობის განკარგულება რიგში აყენებს დიდ პოლიტიკურ ამოცანას... რუსული ენა უნდა გახდეს საბჭოთა ყველა ერების კუთვნილებად. ძველ რუსეთში, არარუს ერებში, რუსული ენის ცოდნა ბურჟუაზიის ვიწრო ფენის პრივილეგიას შეადგენდა, ხოლო რევოლუციის დროს კი ხალხის მტრები, ფაშისტების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტები — ყველა საშვალელებს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ ნაციონალურ რესპუბლიკებში რუსული ენის შესწავლისათვის. ესენი ტროცკისტ-ბუხარინელებთან კავშირში ცდილობდნენ, გადაექციათ დიდი საბჭოთა კავშირი ერთმანეთისაგან დაშორებულ და დაპირდაპირებულ უცხო უჯრედებად».

ამრიგად მოსკოვმა აღიარა, თავისი ძველი «ნაციონალური პოლიტიკის» სრული გაკოტრება და



რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის მძლავრ იარაღად წამოაყენა «ენის ერთობა». იგი ცდილობს, რუსული ენა თავს მოახვიოს არა მარტო ჩაგრულ ერთა «ზედა ფენებს», როგორც ეს ცარიზმის დროს იყო, არამედ უნდა ამ ენაზე ალაპარაკოს «ყველა არარუსი, მათი სკოლა, დაწესებულება და ოჯახი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მარტო ახსნა-განმარტებებით როდის კმაყოფილდება; ის ახსნას მუქარას აყოლებს: «ეს ამოცანა გატარებულ უნდა იქნეს მთელი ბოლშევიკური სიმაძაქით და აღზნებით», ხოლო ვაი მათ, ვინც მისგან გადახვევას განიზრახავს. მას უნდა ახსოვდეს, რომ «ხალხის მტრები განადგურებული არიან; ჯაშუშთა ბუდეები აღმოფხვრილია ადგილობრივ რესპუბლიკების განათლების კომისარიატებში» და ურჩთაც ეგვევ ბედი ეწვეათ.

ამით საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ხანა ნაციონალური ბრძოლის გამწვავების, დევნის და შევიწროების ჯერ უნახავ ფორმებში მოცემული. მოსკოვმა გადასწყვიტა, ძველი სლავიანოფილების ნაციონალისტურ-იმპერიალისტური პროგრამის მაქსიმალურად განხორციელება — საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ერთი საიმპერიო ერის შექმნა და მით ცალკე ერების ნაციონალურ კულტურის, ენის და ეროვნული მეობის მოსპობა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ დღეს რუსეთში კარამზინის ცნობილი წერილი «სამშობლოს სიყვარული და სახალხო სიამაყე» გახდა ველიკორუსული ინტელიგენციის «მაგიდის წიგნად». არქივიდან გამოათრეეს ივანე კალიტა, მინინ-პაეარსკი, სუვოროვი, კუტუზოვი და პეტრე დიდიც. ამით უნდათ, საბჭოთა ერებს დაუმტკიცონ რუსული კულტურის და ისტორიის «სიდიადე»; განამტკიცონ მათში «საბჭოთა პატრიოტიზმი» და მით შესაძლებელი გახადონ ერთი ერის გამოკვეთა.

ტყვილი ცდაა. დღევანდელი მოსკოვი ვერ შესძლებს იმას, რაც ძველმა რუსეთმა უკეთეს პირობებში ვერ მოახერხა. ამის თავდებია ჩაგრულ ერთა დღევანდელი განვითარების დონე და ნაციონალური მტკიცე შეგნება.

ს. მან.

თ ა ვ ი ს ლ ი კ ვ ი ღ ა ც ი ა

ცხოვრებაში არაფერი იკარგება. ყოველ მოვლენას, დიდია ის თუ მცირე. შესაფერისი შედეგი აქვს. ცხოვრება ამ მიზეზ-შედეგთა კომბინაციებითაა ნაქსოვი. განსაზღვრული მოვლენა განსაზღვრულ პირობებში უქველად განსაზღვრულ შედეგს იძლევა.

ამიტომ შესაძლებელი ხდება სოციალ-პოლიტიკური ტენდენციების გათვალისწინება, მომავალი პერსპექტივების გარკვევა, სამოქმედო გეგმების გამომუშავება და საველე გზების გაშუქება, ესე იგი მიზნობრივი და მიზანშეწონილი მოქმედება, რაც ახასიათებს ყოველივე სასიცოცხლოდ შობილ, საღ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციას.

ჩვენ ბოლშევიზმს თავიდანვე წინააღმდეგით, რადგან ნათლად გვქონდა წარმოდგენილი ის სისხლიანი გზა, რომელიც მას ქვეყნის საუბედუროდ ფატალურად უნდა გაეღო. ამ გზის დანახვა ძნელი არ იყო. ის უქველ დ სისხლიანი უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკებმა გადატრიალება მოახდინეს ხალხის წინააღმდეგ, ხელისუფლებას დაეპატრონენ მის საზიანოდ. ამიტომ კონფლიქტი და ბრძოლა ხალხსა და ბოლშევიკებს შორის აუცილებელი იყო. ბოლშევიკებს არსებობა შეეძლოთ მხოლოდ ძალადობით, ტერორით, ხალხის მოთოკვით. ამ გზაზე შედგენ ისინი თავიდანვე. რაც დრო გადის, უფსკრული ხალხსა და ბოლშევიკებს შორის უფრო და უფრო ღრმავდება, ხალხი უფრო მედგრად, უფრო თავგანწირვით იბრძვის თავისუფლებისათვის, რეპრესიებიც უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობს. აქამდე იდევნებოდნენ არაბოლშევიკები, ბოლშევიკები კი ერთნაირ იმუნიტეტს სარგებლობდნენ. დღეს თვით მათ წვდამ ჩეკის დანა. არა სასურველი ბოლშევიკების ქლექტა არაჩვეულებრივი სისწრაფით სწარმოებს. უკვე თითქმის ყველა ძველი ბოლშევიკი განადგურებულია. დიდი ბოლშევიკური წარსული არავითარ გარანტიას არ იძლევა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. წინააღმდეგ, რაც უფრო დამსახურებული ბოლშევიკია, რაც უფრო პოპულიარულია ის პარტიაში, მით უფრო საფრთხეშია მისი სიცოცხლე. ბოლშევიკური ხელისუფლება თვით ანადგურებს ბოლშევიკურ პარტიას, სპობს რა მის საუკეთესო კადრებს, ე. ი. სკრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის. ეს სათვითლიკვიდაცია ოპერმციაა. ბოლშევიზმს ჩვენ აგორებული, აწყვეტილი ურა პრაქტიკა უწოდეთ. მასში აზრი არასოდეს, არსად ყოფილა. ის ბრმად იშვა ბრმა ძალების ბრმა თამაშით, ბრმადვე ვლო ოცი წლის მანძილზე სისხლიანი გზა. განადგურა ყოველივე, რასაც მიწვდა. წაბილწა რწმენა, გარყვნა მორალი, ადამიანი პირუტყვად აქცია, ამოგლიჯა რა ენა, ჩაუკლა გრძნობა, მიუჩლუნგა გონება. ნდობა და სიყვარული ღვარძლით და უნდობლობით შეცვალა. ყველგან და ყველაში შიშია გამეფებული. ოჯახში ცოლ-ქმარს ერთიმეორის ეშინიათ, დედმამას შვილის. ქუჩაში გამვლელ-გამომგ.

ლენინი დაფრთხილნი, აქეთ-იქეთ იხედებიან, დასა-
ჭერად და დასაკლავად ხომ არაფერს მომზადებენ. სა-
ხელმწიფო დაწესებულებებში ასეთივე შიშინაობა
და ერთმანეთის უნდობლობაა. ეშინია ყველას
ყველასი. შიშის ქარები აქვს შემდგარი თვით მას,
ვინც ამ საერთო შიშინაობას ქმნის და ასულდგმუ-
ლებს. ნათქვამია—შიში შეიქმს სიყვარულსაო. ეს
თქმულება ბევრს უკუღმა ესმის. თითქმის აქ ნათქვა-
მი იყოს შიში შეგაყვარებს მტარვალს, მოძალადეს.
მართალია, შიში შეიქმს სიყვარულსა, მაგრამ არა
მტარვალისა, არამედ იმისი, ვინც მტარვალს მოგა-
ცილებს. მტარვალისადმი სიძულვილი, სიყვარული
ყოველივე მისდამი, რაც მას ეწინააღმდეგება. თავი-
სუფლება მტარვალის პირველი მტერია. ამიტომ
იგი ყველა ჩაგრულთათვის საყვარელი და საძიებე-
ლია. ცნობილია,—აკრძალული ხილი ტკბილია. თა-
ვისუფლება მით უფრო ტკბილია, უფრო საყვარე-
ლია, რაც უფრო შეზღუდულია. მეტი სიყვარული
მისდამი მეტ ენერჯიას, ხალისს, თავდადებას იწვევს
მისთვის, რეპრესიებიც შესაფერისად იზრდება. აქედან
საერთო კანონი: რეპრესიები პირდაპირ პრო-
პორციულ ურთიერთობაშია თავისუფლების შეზღუ-
დვასთან, იქ, სადაც თავისუფლება სულ აკვეთი-
ლი, ქვეყანას განაგებენ არა კანონების, არამედ ტი-
რანიის ნება-სურვილების მიხედვით, რეპრესიებს,
მათ სიმკაცრეს საზღვარი არა აქვს. აქ ხელისუფლე-
ბის სიმკაცრე ბუნებრივი მოვლენა, ის თვით სახე-
ლმწიფოს წყობიდან მოდის. ასეთ ქვეყანას დესპო-
ტიური ეწოდება. საბჭოთა კავშირი დესპოტიური
სახელმწიფოს კლასიკური განსახიერებაა. ამ ქვეყა-
ნაში კანონი არ არსებობს. დესპოტის სურვილი
ყველაფერია, ხალხი, მისი შეხედულება, ინტერესი
არაფერი. ცვალებადია დესპოტის სულიერი განწყო-
ბილება, ცვალებადია მისგან გამომდინარე განკარ-
გულებანიც. ერთი და იგივე საქციელისათვის შე-
საძლებელია ერთი დღეს სასტიკად დაისაჯოს, მე-
ორე ხვალ დაჯილდოებულ იქნას. ხვალინდელი დღე
რას მოიტანს, არავინ უწყის.

სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ შინა-
ცხოვრების არასტაბილური ვითარება ჰქმნის გაუ-
გებრობას და არეულობას ხალხში. არავინ იცის,
საით წავიდეს, რა ქნას, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ
შემთხვევაში, რომ ყოველდღიურ ცხოვრების სვლას
ფეხი შეუწყოს და მით შესაძლებელი შეიქნას ოდნავ
მინც ამოსუნთქვა და თუ ადამიანური არა, ძალღუ-
რი ცხოვრება მინც. ნაბიჯი ან მეტი მოგივა, ან ნა-
კლები, სწორი კი თითქმის არასოდეს, რადგან ძნე-
ლია დესპოტის სულიერ განწყობილების გაგება,

მისი იდუმალების ამოცნობა და მიზანშეწონილად
მოქმედება. ამიტომ დესპოტის თანამშრომლების
ბედი იგივეა, რაც მოწინააღმდეგეების,—ერთნაირად
განწირულნი არიან, ასეთი გაუგებარი, ქაოტიური
მდგომარეობაა დღეს საბჭოთა კავშირში. დესპოტი
თარეზობს. მისი ხმალი ხვდება ყველას მარჯვნივ და
მარცხნივ, შინაურებს და გარეშეებს. დღეს მწვერვა-
ლზე აყვანილი, დიდებით და ჯილდოებით შემკუ-
ლი, ხვალ უფსკრულისაკენ ეშვება. მას თავს ატყდე-
ბა თვითნებური ხელისუფლების ყოველივე სისას-
ტიკე, ნადგურდება მორალურად, ფიზიკურად. მას
თან ერთად სრესენ ყველ. ვისაც მასთან რაიმე ურ-
თიერთობა ჰქონია მეგობრული, ნათესაური, თუ
სამსახურის გამო.

«ბრძოლის ხმის» (ივლისი, 1938 წ.) კორესპონ-
დენტი იწერება: «კომუნისტურმა ხელისუფლებამ
დაკარგა ყოველგვარი წონასწორობა. მას ეშინია
არა მარტო ცოცხლების, არამედ მკვდრებისაც და
ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ იღებს რეპრესიულ
ზომებს. დაიწყეს ბოლშევიკების საფლავებით;
თხრიან მიწიდან დიდი ხნის გარდაცვალებულ ბოლ-
შევიკების ნაშთებს და ჰყრიან მივარდნილ ადგილე-
ბში. ამ გიჟურ საქციელს გიჟური მოტივებით ასა-
ბუთებენ: ეს კომუნისტი ახლა რომ ცოცხალი იყოს,
უთუოდ ტროცკისტი, მავნებელი და გამცემი იქნე-
ბოდა, ამიტომ ღირსი არ არის თვალსაჩინო ადგი-
ლას განისვენებდეს მოსვენებითო.

ქიათურის მუშათა კლუბის ეზოში დასაფლავე-
ბული იყვნენ ძმები ალექსანდრე და კოწია ვაშაძე-
ები. ადგილობრივ ხელისუფლებას დაუბარებია მა-
თი მესამე ძმა კიმოთე და უბრძანებია: «ამოთხარე
ძმების ნაშთი და სხვაგან გადაიტანე».

ამ სტრიქონებს კომენტარიები არ სჭირდება. აქ
სიგიჟე, სილაჩრე, ხნეობრივი სიმდაბლე ერთი მე-
ორეს ავსებს. მღვრია სათავიდან უეჭველად მღვრი-
ნაკადი წარმოსდინდების. ბოლშევიკურ რეჟიმს სხვა
რამის მოცემა არ შეეძლო, თუ არა ჯოჯოხეთისა.
იქ, სადაც ყველაფერი შიშზეა აგებული, ცხოვრება
შეუძლებელია. შიში სობს ნდობას. ნდობა კი ცხო-
ვრების საძირკველია. ნდობის გარეშე შეუძლებე-
ლია სალი როგორც პირადი, ისე სახელმწიფოებრი-
ვი და საზოგადოებრივი ურთიერთობა. ნდობა რწმე-
ნის საჩუღია, რწმენა კი მოქმედების მოტორია.
შიში კი კლავს ნდობას, ანადგურებს რწმენას და
მით შლის საზოგადო და სახელმწიფო ნებისყოფას.
იწყება ქვეყნის დაშლა, მისი მორალური და ფიზი-
კური განხრწნა. ატმოსფერა მიაზმებით ივსება. იხრე-
ვიან ყველანი, ბრალიანი და უბრალონი, როგორც



ჯგჯგუნეთის შემქნელი, ისე მისი მტერი. საქმეს ბაცილების სრესა ვერ უშველის. უნდა ამოზრეს თვით ჭაობი, დაემხოს ტირანია და ხალხს მიენიჭოს თავისუფლება; მაშინ აღსდგება ნდობა, განმტკიცდება რწმენა, იშვება ხალისი, აღიკრძებიან ადამიანური გრძობანი, ქვეყანა სულს მოიბრუნებს და სიცოცხლე მონახავს თავის სათუთ აღმაფრენას.

ბოლშევიკური რეჟიმი შეუდგა თვითლიკვიდაცის. ეს პროცესი არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება. როგორც ცეცხლის სტიქიონი ნთქავს ყოველივეს, რასაც მიწვდება და შემდეგ თვით ინთქება, ისე ბოლშევიზმა შთანთქა ყოველივე, რასაც წვდა და დღეს თვით ისპობა.

ბედნიერი მომავალი შორს აღარ არის.

ილია ნუცუბიძე.

ბოლოსიტყვაობა «კავკასიელის» მიმართ

«კავკასი»-ს ქართველ ჯგუფის პრესკრიპციულ სიაში მეც ამომავლინეს თავი. ვფიქრობდი კი პირიქით, რომ სადათარაშვილის რეგენული ქორების გამომწვევების შემდგომ, ბამატის სამსახურში მყოფ ქართველებისათვისაც ერთგვარად მისახვედრი თუ არა, შესაგრძობი მაინც გახდებოდნენ ის მოვლენები და ინციდენტები, რომელთა გამოისობით იძულებული შევიქნენ ქართულისა და იტალიურ პრესისათვის მიმემართა.

ასე არ მოხდა: «კავკასის» ხალხისათვის ეტყობა არ არსებობს დასაჯერებელი საბუთები! ისინი სულ ისევე თავიდან ჰყვებიან მასლაათს, არა ჰნებავთ გაგება და შესმენა არაფრისა: «ასი ურტყი დავითასა—მაინც იტყვის თავისასა». ესლა მათი მხრიდან ლამობენ სოფისტური ხრიკობით გაართულონ მარტივი კითხვა, მიატმასნონ მას «კავკასური», ზნეთქვეული დემავოგია—ასეთი ახირებული და მოსაბებრებელი.

«კავკასის» ქართული ფილიალის ხელმძღვანელებს უნდა მოესხნებოდეთ, რომ მე მუდამ განხევიდექი ემიგრაციაში ამტყადარ დავიდარბისაგან, ერთის გამოკლებით მხოლოდ, რომ მუდამ შეთანხმებისა და ერთობისათვის ვუსმობდი.

«კავკასის» ჯგუფი რატომღაც გამოეხმაურა ჩემს წერილს—უცხო განეთი დაბეჭდილს. უცხოელების საყურადღებოდ, უცხოელისავე საპასუხოდ, ხოლო ამავე ჯგუფმა უჩემოდ გადაყლაპა ჩემი ორი წერილი, რომლებიც თავიდან ბოლომდის და სავსებით მის ოინბაზურ ყოფაქცევას აღწერდნენ. ვერ იქნა და ვერ შევაგნებინე «კავკასის» გვაშებს, რომ მე ვერ მივბაძვე მათა და მათ კორესპონდენტებს და არც ვვარგივარ მათთან კონკურენტად საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის გამახსარავეების საქმეში!

«კავკასიის» ივნისის ნომერი ქოქოლას მაყრის სწორედ ამისა გამო. ნახმევი მისი რომშიაც გაისმა; «ფრონტე უნიკოს» რედაქციას ერთი ქართველი (პარიზიდან) საყვედურს უთვლის, რომ ამ განეთი ნოე

ლორდანიას აგენტის (ეს მე ვყოფილვარ!) წერილი მოთავსდა—ფაშინზის სასტიკი მტრის სურათით; ესევე ემდურებიან მაინარდსაც, როგორ გაბედა და მიესალმა ქართველ ხალხს ჟორდანიას «ეროვნული ფრონტის» ჟურნალშიო!! მე კი, თქვენს მონამორჩილს, როგორც დანახავდით, ბრალდებას ბრალდებაზე მირდგენენ და ჯვილინი თუ ხანდაზმულნი მარიგებენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედო და ვწერო, რომ საქართველოს ზიანი არ მივაყენო. აქაც ისევე ჟორდანიას სახელი ისმის ყველა ბრუნვაში: ფიგარო აქ, ფიგარო იქ, და ვინ იცის კი დღე სად...

«კავკასიის» მწერლები, თუ ფხიზელი სთხზავენ, უნდა მიმხვდარიყვნენ «ფრონტე უნიკო»-ში დაბეჭდილ ჩემი წერილის სპეციალსა და დელიკატურ დანიშნულებას: მატყუარა და ჭორიკანა ქართველის მიერ ჩაძახილი და ათამაშებული არამკითხე იტალიელი პუბლიცისტი გაკადნიერდა საქართველოს შინასაქმეებში ხელნი ეფათურნა! მან გამოაქვეყნა სადღაც კანცელარტიდან გატაცნილი დოკუმენტი, რომელსაც ის (ისევე, როგორც პოლიგლოტური «კავკასი» და ებრევე სხვა მეტიჩარანი) «ნოე ჟორდანიას მთავრობას» აწერენ და მის ირგვლივ დაუსრულებელი აურზაური აქვთ ატეხილი. ინსაბატომ მის უწოდა «პრეტენზიული დოკუმენტი», რუსულ «კავკასში» ვილაც დარიალის მიერ ესევე დოკუმენტი დაქმეულია «ულამაზო» და, თუ მოიგონებთ, ქართულ «კავკასიაში» კი მისი რომელიც ცრუბენტელა მოამბე ზედმეტად მიწვა ტვინს და მოჩმანა, რომ «მენშევიკური მემორანდუმი» თურმე წარმოადგენს დიპლომატიის ისტორიაში გაუგონელ სკანდალს. მივანებოთ თავი ამ სეპრე ეპიტეტებს და განვსაჯოთ ჩვენშორის: ვთქვათ «მემორანდუმი» მართლაც ეკუთვნის ამ «ოდიოზურ» მენშევიკურ მთავრობას,—არის იქ ისეთი რამ, რაცა არ შეეფერებოდეს და შორებულსა თუ ახლო წარსულს? პირადად მე ის მიმაჩნია ისტორიულ დოკუმენტად, რომელშიაც ქრონოლოგიურის მიყოლივით გარდმოცემული არის სრულის სიმართლით ქართველი ერის გაჭირვებანი! ასევე შეიგნეს ამ საბუთის მნიშვნელობა ქართულ სამსახურში მყოფ ყველა ქართველმა...

«კავკასიაში» დიპლომატიურ სენსაციების შორიდან ხმის მიმწვედელ «მეტტერნიხებს» მომხდარის ნამდვილი ჰაზრი რომ ჩასწვთოდათ თავში, მათ სმენამდის მივიდოდა აღბად ისიც. რომ განსახდერულ წრეებში უფრო დანტერესებულნი არიან არა იმდენად «დიპლომატიური სკანდალით», რამდენადაც მასთან გადაბმულ გაუგონარ კრიმინალობით!..

ასეთია ამ ამბავთა ფაქტიური მხარე. ყველა სხვა ქართველი ჩემს ადგილზე მსგავსადვე მოიქცეოდა, უკეთუ თავის ქვეყნის ინტერესების გარეშე მას სხვა მუცლის გვრემა არა სჭირს! ჩემი წერილი აპოლოგია იყო—ეს მართალია—გარნა ის იცავდა საქართველოს სახელსა და ღირსებას უცხოთა წინაშე, ესარჩლებოდა ვაებითა და ტანჯვით მოპოვებულ მის პოლიტიკურსა, ნაციონალურსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ამხელდა და ჰგმობდა მის დასუსტე-

ბისა და დაშლის მსურველთ, ყველა გამცემთა და მლიქვნელთ, ორჭოფთა და ფარისეველთ, ბაგეზე რომ სამშობლო აკეოთათ. საქმით კი ამ სამშობლოს მესაფლავებდად გამოდიან. «კავკასის» წრის გარეშე ყველამ ასე გაიგო ჩემი წერილის შინაარსი—ქართველებმაცა და უცხოელებმაც და პირველყოფლისა იმავე იტალიელებმა: ჩვენი ქვეყნის კარგა მცოდნე და კეთილისმდომ ერთ უწარჩინებულეს იტალიელისაგან წერილი მომივიდა (მას თურმე თვალყური უდევნებია ინსაბატოს ანტიქართულ სტატიებისათვის), რომ მას დიდის ინტერესით წაუკითხავს ჩემი წერილი, რომელსაც მისი გრძნობები დღეს მონობაში მყოფ ქართველ ერისადმი უფროა შეუთვია: განა რომ ხდება ზოგჯერ ამბები, «კავკასიის» პუბლიცისტებისთვისაც შემადიქრებელი!..

«კავკასიის» ქართველმა ჩემს წერილში ყორდანისა აპოლოგია ამოიკითხა მხოლოდ. ჭკვიანმა იტალიელმა კი მუნ კპოვა ჯგერშემოყრილი სიტყვები «ქართლის ბედის» ასე უკუღმა შეტრიალებსა გამო. «ფრონტეს უნიკოს» წერილს უპირატეს იტალიელისათვის (და საფიქრებელია არა მარტო მისთვის) სახიერი გრძნობები აღუძვრია ბოლშევიკების უღელქვეშ მყოფ ერისადმი, «კავკასიიდან» კი ამ წერილით გააკაპსებულნი გამომკვიანი, თუ როდის უნდა მოვიშალო ჩვენი ქვეყნის სახიანო მოქმედება! ასე ხდება ამ უკუღმართ წუთისოფელში: ერთი რომ ზეპყრობილი ლოცულობს, მეორე ჩქარობს იქაურება აყროლოს... საყდრის კარი რომ ღია არის, განა ძალს ნამუსი ემატება?! გარნა «კავკასია» ჰაზრებს რაში დაგიდევს: თქვი რაც გინდა და როგორც გენებება, ოღონდ ერთ პირობას კი ნუ გადაუხვალ: რამდენადაც შეგეძლოს, ლანდო და ათრიე ნოე ყორდანია! აი მაშინ უკვე აღჩუხე ჰხიხარ მათთან! მაშინ სადათარაშვილის ჯღაბნაც პუბლიცისტისტიკად სალდება...

მე იმას კი არ ვამბობ, რომ ყორდანია ყველას უნდა გულში ეჯდეს: მგონია ის თვითონაც არ ინდომებს ოფფენბახის მუხიკას მიეთანაბროს. მაგრამ «კავკასიის» თანამშრომლებმა ჩემზე უკეთესად იციან, თუ რა მოსაზრებით არის ჩვენივე გამოზოგილი (უმეტესად უცხოელთა წინაშე) დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოქალაქე...

«კავკასიას» უმთავრეს მიზნად დასახული აქვს «ყორდანისა ზრახვათა მხილება», მაგრამ რადგანაც მათი გამოაშკარავება ფაქტებით ვერა ხდება, მისი მწერლები სხვა ზომებს იმეფიებენ: მკითხაობენ, ჭორებს აცხობენ, შიგადაშიგ მამუხრობენ კიდევაც... იმავე დროს კი გარდაწყვეტილად აცხადებენ, რომ «ეროვნულ ფრონტს» დაეკარგა ყოველივე პრესტიჟი და ის ამიტომ სულ მალე აღიგვება, თანაც გამოარყეულა, რომ «ნაღები» ემიგრაციისა იღვწის ამ ფრონტის გარედ და მის წინააღმდეგ. «კავკასიის» სიტყვათა კორიანტელში აღარაფერი გაიგება: იმათ წინ თურმე ლეში გდებულა (მეპრესე «კავკასიაში» პირდაპირ სწერს ფრონტი აღარ არის!), ეს ხალხი კი მისდგომია ამ გამოტოლ ვვამს და ებრძვის გაფთრებულნი ჰვემონის ასართმევად! ხოლო რაკი მათის მხრით იარაღის ქლარუნი არა სცხრება, ეტ-

ყოლა «ეროვნულ ფრონტს» გადაუფიქრია გარდაცვალება. მაგრამ თუ არ მომკვდარა, იქნებ რაიმე ნიშნები იყოს მისი ახლო სიკვდილისა, ასე იფიქრეს «კავკასიელებმა» და ჩაეჭიდნენ სამსონ ფირცხალავას წერილის ერთ ადგილს, სადაც ავტორი მწუხარებას გამოსთქვამს ქართველ ემიგრაციის ისეთს გეზზე შედგომისა გამო, რაცა მას საჭირო პატივს აცლის მეგობრებშიაცა და მტრებშიც! აფიცებულ «კავკასიელებს» ავიწყდებათ, რომ ფირცხალავას სახეში სწორედ ისინი ჰყვანან, უკანასკნელ ხანებში თავამყოფილ ორიოდე მუხმუხელათურთ, რომელთა უკადრისმა ყოფიქცევამ მართლაც დიდად საეჭვოა, რომ ემიგრაციას ან პატივს, ან სახელს მოუხვეჭოს!.. მაგრამ ფრონტი აქ რა შუაშია? სად, ან რაში გამოჰნახეს ბამატის წინასწარმეტყველებმა მისი აღსრულების ნიშნები? ან საიდან გამოათრიეს ფირცხალავა-ინგილოს სხვადასხვა შეხედულება ამ ფრონტზე? «სიზმარში ნაცად-ნახული ცხადად რა მოსახმარია?!»

«კავკასიის» კალმონებს იმდენადვე ეხალისებათ მყვირალა ფრანები, რამდენადაც უმძრახად არიან სიმათილესთან. ამგვარ ხელობაში ისინი, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაიჭირეს და ყური ააწიეს, გარნა ვერ კი მოაშლევინეს: ჯერ კიდევ მაშინ, როცა «კავკასის» წრე სპეკულაციებს აწყობდა საქართველოს საზღვრების საკითხზე, მას შთააგონეს, რომ ეხლა სამისო არც დრო არის და არც მოცლაო. ამ ჯგუფმა მაინც ჩაიდინა საძრახისი საქმე: ელემენტარ რიგიანობის წინააღმდეგ, მან უცხოელებიც კი ჩაბა მათთვის არაჩვეულებრივ კამათში. ამთავად ინტრიგები მათ ჩაეფუშათ. მათ ადგილზე სხვა მოიქცალებდა, ან სულ აღარ გაეკარებოდა უხიროდ შერჩეული თემებს, ან შეჩერდებოდა მცირედ მაინც. მაგრამ «კავკასის» ხალხს დარცხვენით ვერ შეაჩერებ: რუსულ გამოცემაში (ნ, 53) ვინმე დარიალი შეტევითა და რიხით დავობს: «მათ (ე. ი. მენშევიკებმა. რ. ი.) არც აცივებს; არც აცხელეს და უცებ ასტეხეს კამპანია თურქეთისა და საქართველოს საზღვრებზე. ისინი ამღვრევენ წყალს და თან უბედურ ქართველ გადმოხვეწილთა წრის განსაზღვრულ ნაწილს ერთი შეცდომიდან მეორისაკენ ითრევენ». დარიალის სიტყვიდან იმასაც ვტყულობობთ, რომ «კავკასის» რედაქტორი ჰაიდარ ბამატი მთელის არსებით მიისწრაფის კავკასიის კონფედერაციის განაარსებისათვის, ამიტომ მას თურმე არც შეუძლიან სომხეთისა თუ საქართველოს მიწების თურქეთისათვის ფეშქეშად შირთმევა: მაშ სადღა უნდა დაარსოს მან კავკასიური სახელმწიფო? გვიტევის დარიალი. ეს კითხვა მართლა რომ თავსამტრევიცა: არავის მოგვსვლია თავში ამხნობამდის, რომ თუ ვინცოტაა განგვირისხდნენ ცანი და შეგრჩით ბამატს, რა სახისა და სიფართოისა იქნება მისი სახანო?! იქნებ უზურში ყუმუყის იეილაღებზე ასარეკიც შევიქნეთ!..

ფეშქეშობა კავკასური ჩვეულებაა და ამით ჩვენ ასე თუ ისე თავიც მოგვაქვს, გარნა ამა ჩვეულების მიხედვით საფეშქეშო ნივთი რამენაირად მფეშქეშებულთან უნდა იყოს მიხრილი... საქართველოს სამ-



კვიდრებელი უფლის მადლით არც თუ ნაოხრალია ჯერ კიდევ, რომ მას ეშმაკები დაეპატრონონ! ბამატის «ტოპოგრაფებს» ვითარება ამნაირად ჰქონიათ დასახული: მათ ვერ აუღეს ალღო ვერც საერთაშორისო განწყობილებას და ვერც ქართველი ერის შემკრებლობით განცდას მამულისა და საერთო სამკვიდრებელისათვის. ნახტომი ვერ მოუვიდათ. ელოდნენ დიდ ეფექტს, ხელთ კი შერჩათ დიდი გაწბილება...

საჭირო გახდა შეტრიალება, პოზიციის შესხვა-ფერება. ყოველს შემთხვევაში ასე დაემართათ «კავკაზთან» ინტიმურად გადაბმულ «რომაელებს». მონდა კი აი რა: აქაურ პოლიტიკანებს აგრძნობინეს, რომ მათ უნდა იკმარონ «ვინმე მესამისათვის» კეთილმითვალულ წერილებს შეპარება, ვინაიდან იტალიის პრესას ამ «მესამის» პროპაგანდისტად ქცევა არ შეჰშვენის... მასუკან აქაური ჩარჩები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რამენაირად ამოესუფთავებინათ ასვრილი კუდები, გარნა რაკი «ვირზე შეჯდამა ერთი სირცხვილია და ჩამოსვლა—მეორე», ჭუჭყის აყრა არც ისე ადვილი იყო, და იცით, რამ მოათავა უხერხულობა? «მენშევიკურმა» საქართველო და მოუჟიკიდებლობის ოცი წლის თავმა: «განწმენდისათვის» ამ თარიღზე უმჯობესი აბა რა გამოინახებოდა?! და აი აქ ამუშავებს «კავკაზური» ხელობა: რომში რათა ხანია არსებობდა ეგრედ წოდებული «კავკასიელ ქალთა საზოგადოება», რომლის «საქმენი» ისევე ფარულნი იყვნენ, როგორც შიგ მსხდომნი და მონაწილენიც. არავის უხილავს არც მათი წესდება, არც ოქმები; ამ «საზოგადოების» მოღვაწეობაზე შევიტყობდი ხოლმე მაშინ, როცა მისი სახელით ფასიან კონცერტებს აწყობდნენ, ხოლო სად მიდიოდა შემოსული თანხა, ესეც «მისტერიუშია». ერთს იტალიურ ოჯახში მიჩვენეს სადარბაზო ბარათი, რომლის პატრონი არის ერთი ქართველი მანდილოსანი—ერთგინმე იტალიელის ცოლი—ამ ბარათზე «პრინჩიპესად» ნაჩვენები. იმ ოჯახში მას მიუტანია გასასყიდად ბილეთები. ამ «პრინჩიპესას» მეტი ქართველი არავინ არის აწერილ საზოგადოებაში, არც თუ რომში. ეს საზოგადოება ესლა გადააკეთეს (ვინ?) «იტალო-ქართულ სამეგობრო საზოგადოებად», რომლის აგანჩავანად, ადვილად მიჰხედებით, ვინ უნდა იყოს. აი ამ გადახალისებულ წრემ გამართა 12 ივნისს საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლის აღსანიშნავი საღამო, რომელიც გაიხსნა ინსაბატოს—საქართველოსადმი მიძღვნილ—სიტყვით. ერთი პარინელი ქართული გაზეთი აპირებდა ამ სიტყვის გამოქვეყნებას: როცა მას გაეცნობით, დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, რომ ის «Corriere diplomatico e Consolare»-ს სტატიების ავტორს ეკუთვნის.

მ. ინგილა.

ვაი დამარცხებულთი *)

Vae victis—ვაი დამარცხებულთო, თქვა მეოთხე საუკუნეში ბრენუსმა, ველურ ურდოების მეთაურმა, რომლებიც იტალიას შეესივნენ და რომს ემოჭრებოდნენ. ერთგვარი გაკვირვებით ეკითხებით თქვენს თავს, ნუ თუ ეს საანდაზო თქმა თავისად გაიხანდალეს ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო უნიონმა?

1936 წ. უნიონი გაჰყვა უკიდურეს მემარცხენეთა რჩევას და შეუდგა სტატუტის ისეთნაირ შესწორებას, რომლის მიხედვით საქართველოს და უკრაინის ასოციაციებს უნდა ჩამოერთვათ დღევანდელი უფლებები და პრაქტიკულად გამორიცხულ იქმნენ უნიონიდან. უნიონის ბიურომ უკვე გამოაცხადა, რომ ამის მომხრეა. საქმე მიდგა უნიონის საერთო ყრილობაზე—დაადასტურებს იგი თუ არა ამ გადაწყვეტილებას **).

თავის მიზნის მისაღწევად გამორიცხვის მომხრეებმა შეიმუშავეს წევრობის ორი კატეგორია: ნამდვილი წევრების და თანამგრომობ წევრების (affiliés და associés). უკანასკნელებს მხოლოდ შეზღუდული სათათბირო ხმა ეკუთვნის. ასეთებია კალონიებში შედგენილი ასოციაციები და ემიგრანტებისაგან შემდგარი ასოციაციები. ამათ უკანა რიგში აყენებენ და აღარ უნდათ ყური დაუგდონ მათ ხმას.

თავის პროტესტში ქართველი და უკრაინელი ასოციაციები აცხადებენ, რომ არ არიან ემიგრანტების დაარსებული, არამედ შესდგნენ მათი დამოუკიდებლობის დროს საკუთარ ტერიტორიაზე და 90 პროცენტი საქართველოს ასოციაციის წევრებისა სამშობლოშივე იმყოფება. არც უკრაინა და არც საქართველო არ შეიძლება კალონიებს შეეადართ; ეს იქნებოდა წინააღმდეგი ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციისა, რომელიც თავის თავს კონფედერაციად სთვლის. უნიონის ჩვეულებრივ წევრებს, ეგრედ წოდებულ «ნამდვილ წევრებს» უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელი ერები ან ისინი, რომელთაც შეუძლიათ ასეთნი გახდნენ. როცა ქართველი და უკრაინელი ასოციაციები დაარსდნენ, მათი ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელნი და ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია საქართველოს და უკრაინას ჩამოშორების ე. ი. დამოუკიდებლობის აღდგენის—უფლებას აძლევს. ნუ თუ უნიონი უფრო შორს უნდა წაიდგეს, ვიდრე მიდის საბჭოთა კავშირი და წაართვას საქართველოს და უკრაინას ის მზელ უფლება და იმედი, რომელიც მოსკოვმა კიდევ დაუტოვა მათ?

ახალი სტატუტი საქართველოს და უკრაინის ასოციაციებს უფლებებს ართმევს. რა მოსაზრებით? როგორც საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ალბ. მალშმა აღნიშნა თავის წერილში უნიონის თავმჯდომარის ბორელის მიმართ, ქართველ ასოციაციას არა დაუშავებია რა.

*) «ყურანალ დე ენევე», 3 ივლისის ნუმერი.

**) ამ ყრილობის ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში. რ ე დ.

ამასაც დასძენს იგი: «განა უკვე საკმაო არაა საქართველოს მსხვერპლი?» ასევე უნდა ითქვას უკრაინის შესახებ. არ შეგვიძლია არ შევუერთდეთ ალ. მალის, რომელიც შევიცარიის ასოციაციის თავმჯდომარედაც იყო, როცა ის მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, «რომ უნიონი ხდება იმ ძალების იარაღი, რომლებიც ამხობენ ერთა ლიგას».

ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციები დიდს არაფერს წარმოადგენენ, შეიძლება ვინმემ სთქვას. მათ შეეძლოთ დიდი გავლენა მოეპოვებიათ. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ყური ათხოვონ ადამიანობის და სამართლის ხმას.

P. E. B.

ფრანგი მწერალი

რუსთაველისთვის

ამას წინადად საფრანგეთის აკადემიის წევრმა, ცნობილმა მწერალმა Edm. Jaloux-იმ ლექცია წაიტანა პარიზში რუსთაველის შესახებ. გახ. «ტან»-ის 17 ივლისის ნუმერში მან წერილიც უძღვნა ვეფხის ტყაოსნის ავტორს—ქართველი პოეტის» სათაურით. ქვემოთ ვბეჭდავთ ამის თარგმანს მცირე გამოკლებით:

«შოთა რუსთაველის დიადი პოემა ვეფხის ტყაოსანი წელს ბ. გ. გვაზავამ და ქ. მარს პანმა ფრანგულად გადმოთარგმნეს. მომხიბლავი პოემა და იმავე დროს იგი წარმოადგენს ადამიანის გამართლებას (აპოლოგიას), იმ ადამიანისა, როგორც ეს გაეგებოდნენ საშუალო საუკუნეების ბოლოს, მთელი მისი ძალით, სამართლიანობის და კეთილშობილების გრძობით, კვლავ აღმსდგარი არსების ქალწულებით.

შოთა რუსთაველი ქართველი იყო; მაგრამ გვაქვს ჩვენ გარკვეული წარმოდგენა საქართველოზე?.. ეს ქვეყანა დასახლებულია ადამიანთა რასის ერთ-ერთ უმშვენიერეს მოდგმით, მისი დედა-ქალაქი ტფილისია. მრავალია მისი თავგადასავალი, მას ჩაექსოვება დედამიწის უძველესი დიდი გადმოცემანი. აქ იყო სააქაო სამოთხე, შეიძლება ფაზისის ნაპირებზე კოლხეთში, ესლანდელ სამეგრელოში. აქვეა არაოატი, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი, ყაზბეგის მწვერვალი, სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე, ადამიანებისთვის სინათლის მოტანა რომ უნდოდა; გავიხსენოთ იასონი, რომელიც კოლხეთში მივიდა; სემირამიდამ, კიროსმა, ალექსანდრემაც დასტოვეს ამ მხარეში მოგონებანი. ჩვენი ყურადღება როგორ არ უნდა მიიქცეს ამ კუთხისაკენ? მეტისმეტად არაჩვეულებრივი სახეები უნებლიედ წარმოუდგებიან ადამიანის თვალწინ: აქატი, იასპი, ზურბუხტი, ლალი, დამანი, ლილაქვა, მალაქიტი ისევ მრავლადაა საქართველოში, როგორც ქვეები ჩვენს გზებზე. როგორც ხედავთ, რუსთაველის შესწავლამ მეტ ქართული შეცნობა შემათვისებია! სხვადასხვა უკიდურესობა ემჩნევა თვით ქვეყნის სახეს: იქა ერთსა და იმავე დროს მუდამ თოვლით დაფარული მთები და მათ ძირს კი სამხრეთის მდიდარი ყვავილობა: შქერი, ელი, კამე-

ლია, ზამბახი, ჩანჩქერ მდინარეების პირად, რომლებიც ეხეთქებიან თითქოს მოქანდაკის გამოჭრილ ბროლის კლდეებს. განა შეიძლება, ასეთ სკოლაში გამოზრდილ მწერალს მოვთხოვოთ მერიმეს თავშეკავებულობა? მეინვარის და იალბუზის მწვერვალებზე რომ არწივს ვხედავთ. იმ ორბს მოგვაგონებს, რომელიც პრომეთეს გულ-ღვიძლს ჰგლეჯდა, ხოლო პრომეთე ხელახლა გამოცოცხლდებოდა.

გასაკებია, ასეთ პირობებში ადამიანს არ შეეძლო ისე წერა, როგორც სხვები სწერენ. შოთა რუსთაველის პოემა წარმოიშვა უაღრესად რაინდულ ამბების, ვარდთა წვიმით დაფრქვევულ წრეში. როცა პირველად ჰკითხულობთ ვეფხის ტყაოსანს, გაბრუებთ აღმოსავლური უხვი ფერადობა; ჩვენ დასავლეთელებმა დაგვარგეთ გემო სიტყვის აღტყინებისა. სულს გვიხუთავს ამდენი შედარება მხესა და მთვარესთან, ამდენი საკმეველი და სურნელობა. ფაქტანი მწუხარე ნესტანის ნახვის ამბავს ასე გადმოგვცემს: «შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები, შიგან მელნისა მორვესა ეყარის გიშრის შუბები, მელნისა ტბათათ იღვრების სავეს სათისა რუბები...» ასევე მომქმედი პირები მუდამ ძალზე დაჭიმულ ნერვიულ მდგომარეობაში არიან, რაც ჰქმნის მათ მეტის მეტ ვნებიან ზე-ადამიანებად. აი როგორ მოგვითხრობს რუსთაველი, როცა ტარიელის მეგობარი ავთანდილი გაიხსენებს თავის სატოფოს: «მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა; სულთქმნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.

«ავგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა; ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა; უბრძანა: გიჰყვრეთ თვალითა. გულ ტკბილად შემხედვართა, მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბართა».

ვეფხის ტყაოსანი არის ერთსა და იმავე დროს პოემა მხედრობის, რაინდობის და მიჯნურობის; იქ არის კიდევ რალაც, რაც მოგვაგონებს ხალხურს რომანს, აგრე ვსთქვათ მითურს. იგია სარაინდო საქმეთა სიმღერა და რომანი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ «ტფილისის საიდუმლონი» (მისტერიები), თუმცა ტფილისი სულაც არაა ნახსენები, ისე როგორც იყო პარიზის მისტერიები და ლონდონის მისტერიები.

ტარიელი ყარბიბი რაინდია (მოყმე), როგორც ამას ვხედავთ მეთორმეტე ს. პოემებში; თანაც რომანტული გმირია, ბედისაგან დევნილი. იგი წაავას ლანსელო დიუ ლაკს (მრგვალი მაგიდის რაინდს) და მანფრედს (ბაიროსს). რომანი აწერილი შემთხვევა მრავალია: დევნა, დადევნება, ძებნა, ლალატი, გატაცება. გრალის ძებნის მაგიერ აქ ეძიებენ წმინდა სიმშვენიერეს; და წმინდა სიმშვენიერე კი შეიძლება მივიღოთ ყველა ქართველი ქალის სიმბოლოდ.

მ. ბარესს რომ შესაძლებლობა ჰქონოდა ამ წარმტაცი პოემის წაკითხვის, მას იგი გაიტაცებდა, როგორც გატაცებული იყო ომარ ქაიამას «ოთხეულებით», რომლის თითო ცალი (შეიძლება ეს ლეგენდაა, მაგრამ ყოველი ლეგენდა წმინდაა) თავის სახლის ყო-

ველ ოთახში ჰქონდა შენახული, რომ როგორც კი მოუნდებოდა, მყისვე წაეკითხა რამდენიმე ლექსი. რუსთაველი მოუზრდებლად აცხადებს, რომ თავისი ამბავი სპარსეთიდან ისესხა:

«ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, გით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგომანები, ვპოვე და ლექსად გარდავსთქვი...» როცა ამას ვკითხვლობ, ჩემს თავს ვეუბნები: შეიძლება მართალი არიან, ვისაც სწამთ სულთა გადასახლება და ნაწილი რუსთაველის სულისა ან მთელი სული ეგებ ბარესში გადასახლდა. არ უნდა დავივიწყოთ მეორე მხრით, რომ იმავე დროს ყვავოდა ევროპაში ტრისტან და იზოლდის და პარსიფალის ლეგენდები: არაბეთში—ათას ერთი ღამე; იაპონიაში გენგის რომანი. ყველა ამ ნაწარმოებს საერთო საიდუმლო (მისტერია) აქვს, თითქოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ხელს უწყვდიდენ ერთმანეთს შორიდან, თითქოს რაინდთა ყველა ეს გმირობა, გამარჯვებათა და ბრძოლების ყველა ამბავი, ყველა ეს ფეერული თავგადასავალი, სადაც ადამიანის ღირსებას მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ნაფთს, უნდა დასრულებულიყო უმაღლესი ზრდილობის ყვავილით, რომლის მეხებით ადამიანი ადამიანისთვის მისაღები ხდებოდა, კიდევ მეტიც—სიმპატიური.

შოთა რუსთაველის ცხოვრების ცოტა რამ ვიცით... ამბობენ, იგი ცხოვრობდა თამარ მეფის კარზე, რომელიც ისევე სალევენოა და განთქმული, როგორც სემირამიდა და კლოპატრა და რომელიც არაჩვეულებრივი სიმშვენიერის იყო, წმინდა და მომქმედი. რუსთაველის პოემა მეტ-წილად ავტორის სიყვარულის გამოცხადებაა თამარისადმი. ყოველ შემთხვევაში ამას თვითონ ამბობს შესავალში. მაგრამ ძნელი სათქმელია, ეს წინასიტყვაობა ღრმა განცდის გამოხატველია, თუ ფეოდალურ წესის, რაინდის გრძობისა თავის ქალბატონის (dame) მიმართ, როგორც ჩვეულება იყო მეთოთხმეტე სტრუბადურების კულტის და მეჩვიდმეტე ს. ზრდილობიანობის. იმდენი კულტურაა, იმდენი კეთილი მადლი შ. რუსთაველის პოემაში, ისეთი ნაწი რიგის და თავაზიანობის წესებითაა გაქლენილი, რომ უფლება გვაქვს დავსვათ ეს საკითხი, თუმცა ღაჩვეულებრივი კომენტატორები ამას ყურადღებას არ აქცევენ და პოემის დასაწყისს სტრიქონებში ხედავენ რომანტულ ვნებას, რომელსაც შეიძლება არა სოდეს ჰქონია ადგილი...»

სასიამოვნო შეხვედრა

(ჟან მარტენი პრადამი)

ვიყოფები რესპუბლიკის სენატში, ვუცდი მის თავმჯდომარის მოსვლას, ეს არის დღე ჩემი მასთან ჩვეულებრივი შეხვედრის. როგორც ხშირი სტუმარი მეორე პალატის დაწესებულების, ვზივარ მოხელეებთან, რომლებთანაც ცხადდებიან სადარბაზოდ ან სხვა რაიმე საქმის გამო მოსული პირები. შემოდის მალაღი, სიმპატიური უცხოელი, ქუჩუჩ-თმია-

ნი. მისი მზღებელი ჩენი მიმართავს მოხელეს, გადასცემს სადარბაზო ბარათს და ხმა დაბლა ეუბნება: ეს არის ყურნალისტი ჟან მარტენი, სურს ნახოს სენატის თავმჯდომარე დრ. სოუკუპი. სტუმარი უკვე ზის დასაცად ზალაში. ჟან მარტენი! თითქოს ჩემი საკუთარი ძმის სახელი გამეგონოს.

გავექანე მისკენ. ისიც ადგა და გამოიწია ჩემსკენ. მომიტავეთ, ვეუბნები, და თან ზედიზედ ვეკითხები: თქვენ ხართ ჟან მარტენი? ენევიდან? «ყურნალდე ენევის რედაქტორი»? ჩენი ჟან მარტენი, ჩენი, ქართველების, ძვირფასი მეგობარი, ჩენი ძმა?

ილიმება და ყველა შეკითხვას მიდასტურებს. ვეცნობით ერთმანეთს. ვუცხადებ ჩემ სიხარულს და აღტაცებას, რომ ასეთი ბედნიერი შემთხვევა მომეცა. ისიც კმაყოფილია. ჩამოსულა აქ შევარდენის დღეებზე (1-6 ივლისი) დასასწრებლად. და ესლა სწორედ მოვიდა სენატში პრეზიდენტ ბენევიდგან, მასთან ჰქონდა ერთი საათის აუდიენცია. უნახავს გარეშე საქმეთა მინისტრიც. სენატის თავმჯდომარე სოუკუპთან კი მოვედი, მეუბნება ჟან მარტენი, როგორც საქართველოს მეგობარი ქართველების მეგობართან, მე მასთან სხვა საქმე არა მაქვს. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ მისი გამოსვლები სენატში საქართველოს საკითხზე.

ცოტა ხნის შემდეგ მოდის სენატის თავმჯდომარე; ვაეცნობიან ერთმანეთს. მე მოვაგონებ ორივეს, თუ როგორ იხსენიებს ჩვენს ენეველ მეგობარს, მასარიკი, თავის წიგნში «მსოფლიო რევოლუცია»: ჟან მარტენი იყო ერთი პირველთაგანი ჩეხების სასარგებლოდ რომ გამოაქვეყნა წერილი, როცა მასარიკმა 1915 წ. მსოფლიო ომის დროს ენევაში დაიწყო თავისი ეროვნული აქცია.

დიაღ, ეს ჩენი სახელმწიფო პრინციპია, დაჩაგრულ ერების დაცვა, გამოქომაგება. დაიწყეს ლაპარაკი საქართველოზე, მის ბედნიერ პერსპექტივებზე, რომლის სასარგებლოდ დრო ამუშავებულია; ხდება შედარება ჩეხების მდგომარეობის ყოფილ ავსტრიაში და საქართველოსი რუსეთის საზღვრებში; ერთი და იგივე ბედი; ნოე ყორდანია—საქართველოს მასარიკი და სხ. მეგობრები გამოსთქვამენ იმედს, რომ საქართველოში შეხვედრიან ერთმანეთს. ნახვამდის ენევაში, მერმე საქართველოში, უმატებს ჟან მარტენი...

ჩვენ მას კიდევ ვაცილებთ ერთხანს. გადავსცემ ამ სასიამოვნო შეხვედრას შავიშვილს, ამ აღზნებულ, მუდამ მომქმედ პატრიოტს, სიმპატიურ და საყვარელ შავიშვილს, უსვამს ხაზს ჟან მარტენი; გვინახულით ენევაში სოუკუპთან ერთად, იქიდან საქართველოში. და მაგრად გვართმევს ხელს ეს კეთილშობილი შვეიცარიელი, რომელიც მუდამ ატარებს თავის გულში ტყვედ მყოფი საქართველოს ხსოვნას და სიყვარულს. ჩვენ ამას არ დაუვიწყებთ.

ემ. ლომ-ძე.



მეგობრის ხსოვნას

კაწია საბახტარიშვილი აღარ გვყავს. ჭეშმარიტად რომ მეტად მწარე შეიქნა ხვედრი იმ თაობის, რომელსაც ის ეკუთვნოდა, თაობა რომელიც ასობით და ათასობით ითვლებოდა, მაგრამ სამშობლოს დამპყრობელთა ვერაგულ რეჟიმის წყალობით დღეს ათობით, თითებზე ჩამოსათვლელი და თუ დარჩა; თაობა, რომლის დიდი უმეტესობა გაწყდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში, თაობა, რომელიც წარმოადგენდა იმ სახელოვან გვარდიას რომელიც კვდება, მაგრამ არ ნებდება...

კაწია საბახტარიშვილი, რამდენ რას ეუბნება ეს ორი სიტყვა—არა მარტო მის მეგობარს და ბრძოლის ამხანაგს, არამედ უბრალო ნაცნობსაც კი: სიმართლისა და სამართლიანობის მოყვარული, მოძმის და მეგობრისათვის თავდადებული, უმწეოთა დამხმარე და გამხსენებელი, პასუხისმგებლობის გრძობით დიდად დაჯილდოებული, მოვალეობათა მცნობი, დავალებათა მკაცრი აღმსრულებელი; ერთი სიტყვით კერძო თუ საზოგადოებრივ სფეროში—სათუთი, გულწრფელი, მგრძობიარე და სამართლიანი; საქმიანობაში დაუღალავი და ენერგიული მუშაკი...

შედლებული ოჯახის შვილი, როგორც ბავშობას ისე სიჭაბუკეს ატარებს ხელსაყრელ პირობებში; მთელ დროს დავაყვაცებამდე, უზრუნველ ყოფილს ნივთიერად, და შემდეგაც კიდევ დიდხანს, ანდომებს სწავლის შეძენას, თვითგანვითარებას—ცხოვრების და ადამიანის შესწავლას; ამ მიზნით ის საზღვარგარედაც კი მიდის, რომ დიდი კულტურის და სხვა და სხვა მეცნიერებათა გაცნობით და შესწავლით თავისი გონებრივი საღარო გაამდიდროს, არა იმი-სათვის, რომ ყველაფერი ეს შემდეგ თავისი კერძო ცხოვრებისათვის გამოიყენოს, არამედ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად კაოგად შეიარაღდეს. ვინც იცნობდა, იცის, თუ როგორი ბეჯითი, მუყაითი და ცნობის მოყვარე იყო ის სწავლაში: დაბალსა, საშვალოსა, თუ უმაღლესში; ვისაც მას თან უმუშავებია, იცის, თუ როგორი დაუღალავი მომუშავე, დავალებათა აღმსრულებელი, წესისა და დისციპლინის მოყვარული იყო... სერეულდ მოქმედება კერძო ცხოვრებასა, რამდენად მას კერძო ცხოვრება ჰქონდა, თუ საზოგადოებრივში, მისთვის აუტანელი იყო; რასაც ხელს მოკიდებდა, უსათუოდ უნდა შეესრულებინა, საქმე საეგებო და საცდელი ეჯავრებოდა და ეს ასეც იყო, სანამ მის ენერგიას და მის ნიჭს გზა ხსნილი ჰქონდა, მაგრამ როგორც

კი ეს გზა დაეკეტა და ეს მოხდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობით—მისი სულიერი ტანჯვაც დაიწყო მისი ენერგიისა და ნიჭის ნაყოფიერება შეჩერდა... უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში, უცხო პირობებში გადასროლილი, მისი ქვეყნის ტრაგედიას მგრძობი მწვევედ სწეულდება და ლოგინად ვარდება და წლის—ქვიმებისაგან გამოუცნობის—ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა...

ძმაო კაწია, შენ აღარ გვეყვებარ, ჩვენს რიგებს გამოეთიშე, შენი ფიზიკური არსებობა მოისპო, მაგრამ ჩვენს ხსოვნაში მუდამ დარჩება შენი სპექტაკი, ლამაზი და ენერგიული სახე, შენი დამახასიათებელი ჩვეულებანი და სახარბიელო თვისებები... შენმა—შედარებით—ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერმა სიცოცხლემ მშვენიერი ფურცლები მიუმატა ჩვენ მრავალ ტანჯულ ერის ისტორიას.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო!..
ს. ახათიანი.

კ. საბახტარიშვილის დასაფლავება

კვირას, 24 ივლისს, ლევილის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს კ. საბახტარიშვილის ცხედარი. დღის სამ საათზე მრავალი გვირგვინებით და ცოცხალი ყვავილებით შემკული კუბო მეგობრებმა და ამხანაგებმა ლევილის შატოს ეზოში კათაფალკაზე დაასვენეს გასასვენებლად. გასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო, იყვენ ადგილობრივი ფრანგებიც. სასაფლაოზე მგრძობიარე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მთავრობის სახელით კ. კანდელაკმა, კავკასიის კონფ. საბჭოს სახელით ბ. მირიაკუბმა, მთის სახელით ბ. შახნაშმა, აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით ბ. ტოფჩიბაშმა, საქ. სოც. დემ. პარტიის უცხოეთის ბიუროს და პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციის სახელით ს. მენალარმა, სოც. რევ. პარ. სახელით ი. ნუტუბიძემ, პარიზის ქართველი კოლონიის სახელით ქართულად და ფრანგულად მისმა თავმჯდომარემ ვახ. დამბაშიძემ და ბოლოს მოკლე თბილი და გრძობით აღსავსე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ვლ. მგელაძემ.

მრავალ გვირგვინთა შორის განირჩეოდენ გვირგვინი საქ. მთავრობის სახელით, საქ. სოც. დემ. ბიუროს და პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციის სახელით. «სოც. აზრი»-ს ჯგუფის, სოშოს ქართველი ასოციაციის, ნ. ყორდანისა და მისი ოჯახის და სხ. წაკითხულ იქნა სამძიმრის დეპეშები იმ მისი მეგობრებისა და პატივისმცემლებისა, რომლებიც ამ უამად პარიზში არ იყვენ და მოსვლაც არ შეეძლოთ, მათ შორის ნ. ყორდანისა და სოშოს ქართველი ასოციაციის თავმჯდომარის ვლ. ბაქრაძის.



წერილი გერმანიიდან

GEORGICA

№ 4-5.

გერმანულ მეცნიერულ ჟურნალ «ცაიტსრიფტ ფიურ ეთნოლოგი»-ში, 1938 წლის პირველ ორ რვეულში გამოქვეყნდა ბ. ტიტე მარგველაშვილის ვრცელი (100 გვერდიანი) ნარკვევი: «კავკასია და ძველი აღმოსავლეთი». ამ საინტერესო შრომაში ავტორი აცნობს მკითხველთ ძველი ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის ერთა რასიულ ვითარებას, რაც დღეს გემანიაში მეტად აქტუალური საკითხია. ამასთან დაკავშირებით ავტორი აგვიწერს აღნიშნულ ერთა ძველ უფლებრივ და სარწმუნოებრივ ადათ წესებს, რომელთა ნაშთები დღემდისაც მრავლად მოიპოება კავკასიის ერებში. ავტორი ნათელყოფს კავკასიურ რის ანუ—როგორც თვითონ უწოდებს—ქართული რასის სრულ თავისებურებას და მის მსგავსებას ინდო ევროპიულ ანუ არიულ რასასთან.

ქართული ანუ კავკასიური რასა ავტორის გამოკვლევით გადმოეფინა ძველ აღმოსავლეთს დაახლოებით მე 5 ათასიან წლებში ქრისტეს წინ. მას ახასიათებს მცირე აზიაში სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის მაღალი კულტურა—ე. ი. განვითარებული მეტალურგია; აგრეთვე მესაქონლეობის მაღალი კულტურა, გუთნის შემოღება და შესაძლოა მექონეობის დიდი განვითარება. განსაკუთრებით საინტერესო არის უღრმესი გარდატეხა რელიგიურ სფეროში, რომელიც გამოუწვევია ამ რასის მცირე აზიაში შესვლას. ავტორის უმთავრესი დებულება კი შეიცავს იმას, რომ ეს რასა არის თავდაპირველადვე უთუოდ პატრიარქალური, რომელიც აკავშირებს ამ რასას თუ არა გენეტიკური, ყოველ შემთხვევაში ნათესაობრივი კავშირით სხვა პატრიარქალურ რასებთან, განსაკუთრებით ინდოევროპიულთან. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართული რასის წარმოშობის საკითხისათვის, რადგან ამ რასის თავდაპირველი სამშობლო აღნიშნულ დებულების მიხედვით უნდა იყოს ინდოევროპიულ სამშობლოს მახლობლად.

ავტორი ამტკიცებს, რომ პატრიარქალური ხანა იმ სხვა ერებმა განვლეს, რომელიც ქართველთა უწინ ცხოვრობდნენ კავკასიაში და მცირე აზიაში. და რომ მისი ნაშთები ქართველმა და სხვა კავკასიურმა ერებმა აღმოგვხრეს და პატრიარქალური კულტურით შესცვალეს.

ბ. მარგველაშვილის შრომას გერმანული მეცნიერული წრეები დიდის ინტერესით შესვდნენ.



განვითხათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოვიგზავნო შემდეგი მისამართით:

M.r PIRTSKALAVA

10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.) France.

როგორც წინანდელი წიგნები, ეს ტომიც მშვენიერადაა გამოცემული და შეიცავს მრავალფეროვან მდიდარ მასალას საქართველოს ისტორიის და კულტურის შესახებ. ამ ტომს მიძღვნილი აქვს რუსთაველის სახელი მისი 750 წ. იუბილეს აღსანიშნავად და ამის გამოც მოთავსებულია წერილები გ. გვაზავას, ი. ჯავახიშვილის და ა. შანიძის რუსთაველის და ვეფხის ტყაოსნის დასახასიათებლად.

დანარჩენი წერილები—ზოგი გადათარგმნილია უკვე გამოქვეყნებული ქართული თუ რუსული დედნიდან, ზოგი კი პირველად იბეჭდება ამ გამოცემაში. ამ უკანასკნელებში უნდა აღინიშნოს ლეპმან-ჰაუპტის წერილი ქართველების წარმოშობის შესახებ. ავტორი არკვევს, თუ რა რიგით დაბინავდნენ კავკასიაში ერის შემადგენელი ტომები. ყველაზე პირველად მოვიდნენ მესხები. მერე ქალდეები, რომელთაც ზოგნი პონტოელ ქალდეებს უწოდებენ და რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ბაბილონის სამხრეთით მობინადრე ქალდეელებთან, ბოლოს კარდუხები (ქართულები). ქალდეების სახელ მწიფო იყო ვანის ტბის გარშემო, იმ მხარეში, რომელსაც ეწოდებოდა ურარტუ ან ალაროდია. ქალდეების სახელი წარმოსდგა მათი მფარველი ღმერთის სახელიდან. ამ ღმერთის კულტი მოითხოვდა თავგანწირვას და ეს იყო ერთი მიზეზთაგანი ხალხის სამხედრო ძლიერებისა კარდუხების შესახებ. ჰაუპტი ემყარება ქსენოფონტეს «ათი ათასის უკან დაბრუნებას» და ამტკიცებს, რომ კარდუხები და ქართულები ერთნი არიან. მეოთხე—მეორე საუკ. ქრ. წინ კარდუხებმა ჩრდილოეთისკენ წამოიწიეს და მესხებს შეერივნენ.

ასევე ძველს ხანას, ან კიდევ უფრო უძველესს შეეხება ა. საფრასტიანის წერილი, რომელიც ახლად აღმოჩენილ ბოლზ-კეის ტექსტების მიხედვით ცდილობს გამოარკვიოს «პურის» ქვეყნის საზღვრები.

წიგნს ამშვენებს პროფ. ექ. თაყაიშვილის ორი ძვირფასი წერილი. ერთი შეიცავს ს. ენაშის (სვანეთის) ანუ ეპიფანე კათალიკოსის სახარების აღწერას, ხოლო მეორე გვაძლევს ძველი კანკელების (იკონოსტანების) აღწერილობას. წერილებს დართული აქვს მრავალი მშვენიერი სურათი, რომლებიც სრულს წარმოდგენას იძლევიან ძველი ქართული ხელოვნების შესახებ.

ფრიად საინტერესოა არქ. გრ. ფერაძის «ქართველი ბერები და მონასტრები პალესტინეში». როცა გაიხსენებთ. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიას საქართველოს ისტორიაში და ბრძოლას ქრისტიანობისთვის, ადვილად გაიგებთ ქართველების დაუშრეტელ ენერჯიას და ღვაწლს წმინდა ადგილების გასამშვენებლად და დასაცავად. ქართველებს ჰქონდათ იქ 26 ეკლესია და მონასტერი, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდებული იყო წმ. ჯვრისათვის 365 სენაკით, ზარებით და მდიდარი ბიბლიოთეკით. წმ. საფლავის გასაღები დიდი ხნის განმავლობაში ქართველებს ებარათ (1347-1483) და შვიდი სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდა, რომელთა

შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო «გო-
ლგოთა». ქართველების დიდს გავლენას პალესტი-
ნეში ცხადპყოფს უცხოელ მოგზაურების მოწმობა
(მე-12, 15, 16 და 17 ს.), რომლებიც ამბობენ, რომ იქ
ქართველებს მინიჭებული ჰქონდათ ისეთი უპირა-
ტესობანი, რომელიც არ მოეპოვებოდა არც ერთს
ქრისტიანს ერსა.

ა. გუგუშვილის წერილი ქართული ანბანის შესა-
ხებ მეტად საჭირო ცნობებს აწვდის უცხოელს ქარ-
თული აღფაბეტის თვისების გასაგებად და შესას-
წავლად.

სხვა წერილებში დავასახელებთ ნ. ჯანაშიას და
ნ. მარის წერილებს აფხაზების სარწმუნოების შესა-
ხებ, ნანუაშვილის «ქართულ სამხედრო ხელოვნე-
ბას», ი. ნ. მარის ბიოგრაფიას, რომელიც ისე უდ-
როოდ გარდაიცვალა და რომელიც დიდი ერთდი-
ციით არკვევდა ირანულ და ქართულ კულტურათა
ურთიერთობის საკითხებს.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ Georgica ს ეს წი-
გნიც საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს და ყოვე-
ლი უცხოელი დიდის ინტერესით წაიკითხავს მას.
სულით და გულით ვისურვებთ, რომ ამ გამოცემის
ხელმძღვანელთ ბბ. აღენს და გუგუშვილის მომავალ-
შიაც ჰქონდეთ შეძლება და საშუალება განაგრძონ
თავისი ძვირფასი და ნაყოფიერი მუშაობა, რომე-
ლიც საუკეთესო სამსახურს უწევს ქართველი ერის
ვინაობის და რაობის პროპაგანდას.

ლევან ზ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა შ ვ ი ა

ლეისპირელი. «დანგრეული ოჯახი». პარიზი. 1938.

ეს წიგნი, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ
წარსულს თვეში დაიბეჭდა აქ, პარიზში. მასში სულ
სამი მოთხრობაა მოთავსებული, ავტორი გვპირდებ-
ა, რომ მალე მეორე წიგნიც გამოვა, ახალის მოთხ-
რობებით. პატივცემული ლეისპირელი კაი ხანია
ცნობილია ჩვენს ყურნალისტიკაში, ხოლო, ვფიქ-
რობთ, ბელეტრისტულ დარგში ეს მისი წიგნი პირ-
ველი ცდა უნდა იყოს. რომ უკეთესად გაგვეგო ავ-
ტორის ხერხი-უნარიანობა მოთხრობა-რომანების
წერაში, თითქოს, სჯობდა იმ მეორე წიგნისთვის მო-
გვეცადნა, მაგრამ ვინაიდან ერთობ ძნელია ემიგრან-
ტულს პირობებში ვიფიქროთ, რომ მალე მოხდება
კიდევ ერთი ახალი წიგნის გამოცემა, ამიტომ არ
დავერიდეთ, ჩვენი შთაბეჭდილება ეს ავე გამოვვე-
თქვა «დანგრეული ოჯახის» შესახებ.

წიგნში მოთავსებული მოთხრობები ხალისით
იკითხება. ავტორს ეტყობა საუცხოვო ცოდნა იმ
მიდამოსი, რომელსაც ავგიწერს. არ არის შემთხვე-
ვა, რომ მკითხველი შეეფეთოს ისეთ რამეს, რომელ-
საც ჩვენი სინამდვილე არ იძლევა. ყველა ეს დაწე-
რილია საუცხოვო და სუბუქის სტილით და კარგის
ქართულით. სამს მოთხრობაში მთავარი ალაგი სწო-
რედ «დანგრეულ ოჯახს» უკავია. კარგად არის გად-

მოცემული გურული სოფლის ფენები და ძალები.
ეს მოთხრობა ისე გიტაცებთ, რომ საესებით ეძლე-
ვით იმ განცდებს, ავტორსა და იქ მოცემულ ადგი-
ლობრივ მოსახლეობასაც რომ ამოძრავებს და ამო-
ქმედებს. მოთხრობა იმითი კი არ არის მხოლოდ
საინტერესო, რომ იგი არის სუბუქად ნაამბობი და,
თითქოს, დოკუმენტალური ფილმის მსგავსად გა-
დმოცემული, არამედ იმითაც, რომ, შიგადაშიგ,
ფსიქოლოგიური განცდებიც მართებულად არის
გადაშლილი. ერთობ საჭიროა ამისთანა მოთხრო-
ბების მოწოდება საქართველოს ყველა კუთხეების
ცხოვრებიდანაც, ამნაირს, გულწრფელად და სინამ-
დვილით შესრულებულ ნაწარმოებით უფრო ღრმად
ჩავხვდებით, რას წარმოადგენენ ჩვენი პროვინციე-
ბის მოსახლეობანი, რას ფიქრობენ და რა აწუხებთ.
როგორის შეგნებით უხვდებიან მათ თავზედ დაცე-
მულ ამბებს და რას უნდა მოველოდეთ მათგან. ხში-
რად ამნაირი ამბების ბელეტრისტულად აწერით
ჩვენ უფრო მეტს ვგებულობთ, ვიდრე მრავალ ფი-
ლიანტებიანი სტატისტიკით, ან განყენებულის
მსჯელობებით.

კარგია ძლიერ ის გურული, მოწყვეტილი ფრაზე-
ბიანი კილო, რომლითაც ავტორი თავის პერსონა-
ჟებს ალაპარაკებს.


ვფიქრობთ, მხოლოდ, რომ თვით ავტორი კი,
როდესაც თავისით გველაპარაკება, არ უნდა ხმარო-
ბდეს ადგილობრივ კილოს. აქ უფრო შესაფერა-
ბი არის, მხოლოდ და მხოლოდ, ქართული ლიტერა-
ტურული ენის სარგებლობა, იმ ენის, რომელიც შე-
დგენილია ათასეული მოდგმათა საერთო ჯაფით და
მუშიობით და ჩვენი სამშობლოს ყველა პროვინცი-
ების თანამშრომლობით.

სხვათა შორის, აქ იქ გხვდებით ისეთი სიტყვებიც,
რომელიც არაა საჭირო, რომ ჩვენს ენაში სამუდა-
მოდ დარჩენ. მართალია, დასავლეთ საქართველო-
ში ხმარობენ, მაგალითად, სიტყვა «ქუხნას», სამზა-
რეულოს მაგივრად, მაგრამ ამ რუსულად დამახინ-
ჯებულ გერმანული სიტყვის დაკანონება ჩვენში
არც არის საჭირო.

დანაშთენი ორი უფრო პატარა მოთხრობა: «ნუ-
ცა» და «დამნაშავეა» საინტერესო ტიპებს გვიხატა-
ვენ, რომელთაც ჩვენი სინამდვილე იძლევა. აქ ავ-
ტორს მხოლოდ ერთ შენიშვნას მივცემთ: ამბების
გადაშლა ყოველთვის დამაჯერებელი თქმით არ
არის მოცემული. მწერლის მთავარი მოვალეობა ის
არის, რომ ტიპებიც სინამდვილით იყოს მოხაზული
და, თანაც, ისეთის ხერხით, რომ მკითხველს ეჭვი
არ ებადებოდეს, ვაი თუ ცხოვრებაში ასე არა ხდებ-
ბოდეს... სრულიად საიმედოა, რომ ავტორი, შემ-
დეგში ამ ნაკლს აიცილენს.

ვუსურვებთ ამ პირველ წიგნს ფართე გავრცე-
ლებას.

ბ. შ.



26 მაისის ღმერთი

1. ბერლინი.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ოცი წლის თავზე, ბერლინის ქართველი კოლონიის მიერ გამართულ იქნა საზეიმო კრება. კოლონიის თავმჯდომარის ბ. კიხირიას დავალებით ბ. ნ. ნაკაშიძემ წაიკითხა მოხსენება როგორც ქართულ ისე გერმანულ ენაზე. ქართულ სიტყვაში მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა ეროვნული ემიგრაციის გაერთიანების საქართველო საყოველთაოდ აღიარებულ და უდავო ეროვნული ინტერესების ნიადაგზე. აქ მან განსაკუთრებით მოიხსენიას ის ჩვენი ერის ინტერესებისთვის საზიანო გამოხსენებები, რომელთაც აწარმოებს ყურნალი «კავკაზი» და გადაჭრით დაგმო ეს გამოხსენებები, რითაც აშკარად გამოხატა დამწრე საზოგადოების დიდი უმრავლესობის განწყობილება. გერმანულ სიტყვაში მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს და გერმანიის მეგობრული დამოკიდებულება და ის ღვაწლი, რომელიც დიდმა გერმანიის სახელმწიფომ დასდო ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობის გამოცხადების და დაცვის საქმეში.

კრებას დაესწრო გარდა ქართველებისა მეზობელ-მოკავშირე ერების ადგილობრივი წარმომადგენლები და აგრძედა გერმანელი მეგობრები, მათ შორის ოფიციალური უწყებების და მმართველი პარტიის წარმომადგენლები.

იმავე დღის აღსანიშნავად მთელ რიგ გერმანულ გაზეთებში მოთავსებული იქნა ვრცელი წერილები. ჩვენი მკითხველისთვის ცნობილმა «კელნიშე ფოლკს-ცაიტუნგმა» გამოუშვა მოწინავე: «საქართველოს თავისუფლების დღე». ისეთივე წერილი გამოვიდა ვენის ცნობილ გაზეთ «ნოიფრანკენ-ბლეტე»-ში. აგრძედა გერმანიის გაზეთად ცნობილმა «ნაციონალ-ცაიტუნგ»-მა გამოაქვეყნა წერილი: «საქართველო წითელი უღლის ქვეშ».

იმავე დღეებში ყურნალ «დერ ორიენტ»-ში გამოვიდა ნ. იმნაიზვილის წერილი შოთა რუსთაველზე სათაურით: «ქართველი ერის ნაციონალური ეპოსი».

II. პრაღაში.

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლის თავი ილღესაწაულა ქართველმა ემიგრაციამ აქ თავის საკუთარ წრეში, გარეშე პირების დაუცხო სტუმრების მოუწვევლად, — მიიღო რა მხედველობაში მასპინძელი ერის დღევანდელი საერთაშორისო მძიმე მდგომარეობა. საზეიმო სხდომა გახსნა ქართველ ემიგრ. საზ. თავმ. ე. ლომთათიძემ საღამით მებრძოლ სამშობლოსადმი და მადლობით იმათადმი, ვინც ამ გამწარებულ მდგომარეობაში იქ საქართველოში ემსახურება ეროვნული თავდაცვის და შენახვის საქმეს. კრებამ მოწინააღმდეგე ადგილით მოისმინა საუკუნო ხსენება სამშობლოსთვის თავდადებულთა.

თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება: საქართველო ოცი წლის წინედ და დღეს. საბოლოო სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა ის სიღინჯე და სიფრთხილე, რომელსაც ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული პო-

ლატიკური პარტიები იჩენენ საქართველოს განთავისუფლების გზების ძიებაში.

კრებამ მწუხარებით აღნიშნა თანამშრომლობა ზოგიერთი ქართველის ყურნალ «კავკაზ»-ში, რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს საქმეს უცხოეთში.

კრებამ უსურვა ნ. ყორდანიას სამოცათი წლის შესრულების გამო ხანგრძლივი სიცოცხლე და განმათავისუფლებელ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება.

—ძე.

III. ვარშავაში.

მიმდინარე წლის 28 მაისს კონფედერაციის დროშის ქვეშ, ქართველთა კომიტეტის თავმ. კ. იმნაძის, მთელთა წარმომადგენლის ბ. ბაიტიუგანის და ახერბაიჯანის ალი ბეის ხელმძღვანელობით ვარშავის აღმოსავლეთ ინსტიტუტის დარბაზში მოწყობილ იქმნა კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის 20 წლის თავის დღესასწაული.

პრეზიდიუმში ადგილი დაიჭირეს აღმოს. ინსტიტუტის თავმჯდომარემ სენატორმა სტ. სედლეცკიმ და ზემო აღნიშნულმა პასუხისმგებელმა პირებმა

დღესასწაული გახსნა ჩვეულებრივი შინაარსიანი სიტყვით ბ. სენ. სედლეცკიმ.

პრეზიდიუმმა მიიღო მრავალი მოსალოცი ტელეგრამა თუ წერილი.

სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. აიან ბეიმ (იდეოლოგი), იბრაჰიმ ოთარმა (ჯაფარ სეიდამეთის სახელით (ყირიმი), და პოლონეთში უკრაინელთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კოვალსკიმ. კავკასიის ერთა თავისუფლებისთვის ბრძოლის შესახები მოხსენება გააკეთა ბ. ბილატიმ.

მოხსენების შემდეგ შესრულებულ იქმნა მუსიკალურ-ლიტერატურული ნუმრები ოპერის და დრამის მსახიობთა მიერ.

დღესასწაულს დაესწრო დიდი საზოგადოება, წარმომადგენლები სხვადასხვა ერების და პოლონელი მეგობრები.

თავმჯდომარემ სტ. სედლეცკიმ. დღესასწაულის დახურვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოება ჩაიხე მიიწვია.

ტუზუბკა. ავაღმე. ქართვ. დამხმარე კომ—გან (დასასრული)

კომიტეტი უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ხსენებულ პირთ შემოწირულებისათვის.

ბ ნ თ: გ. ერაქეს, ნ. ყორდანიას, ა. ასათიანს, ი. ელიგულაშვილებს, დ. სხირტლაძეს, ვ. ინჭკირველს, ს. იაკობაშვილს, ქ ნ ე. ინჯიას, ბ ნ და ქ ნ ზურაბი შვილებს, ბ ნ ა. კობახიძეს, გ. კერესელიძეს, ქ ნ ლერმანს, ბ. ს. მდივნის ოჯახს, ბ. ლ. მამულაიშვილის ოჯახს, მუჯირს, ს. მენაღარს, ქ ნ თ. მუსხელიშვილს, გ. მოდებაძეს, მონიავას, მანჭკავას, გ. ნატროშვილს შ. ნიკოლაძეს, ი. ნუცუბიძეს, ნ. ურუშაძეს, გ. ყუ-



რულს. შ. ქარცივაძეს, ქ-ნ მ. რამიშვილს, ს. სარჯველაძეს, პ. სარჯველაძეს, ი. სალაყაიას, ი. ჭავჭავაძეს, ა. ბარამიძეს, ა. და მ. ჩხენკელთ, ი. ჩიშაკაძეს, ვ. ჩუბინიძეს, მ. ჩუბინიძეს, ექიმთ ვ. ლამბაშიძეს, ი. ცინცაძეს, ი. ხოჭოლაძეს, ქ-ნ მ. ლომობერიძეს, ლ. ჯაფარიძეს, ნოზაძეთ, ფალავას, ნ. ცურცვაძეს, ვ. წულაძეს, ოჯახს, პატარიძეთ, ბაგრ. სამხარაძეს, კეკელიძეს, ჩაჩუას, ფანჭულიძეს, ვაშაძეს, ვახტანგაძეს, ყანჩელს, რ. ერისთავს, ზ. ციციშვილს, კ. ნ. დადიანის ოჯახს, კ. კანდელაკს, ელ. ურატაძისას და სხ.

ბ-ნ დავით მდივანს ვუძღვნით დიდ მადლობას 5.000 ფრ. შეწირულებისათვის. უმეტესი ნაწილი დახმარებისა იყო თანხა მიღებული უდროოდ გარდაცვალებულთა ალ. და ს. მდივანთაგან.

კომიტეტი მადლობას უძღვნის ბ. დ. ხელაძეს რომელმაც დაუთმო კომიტეტს ნაწილი თვის გამოცემათა. კომიტეტს ერგო 1440 ფრ.

ა ნ გ ა რ ი მ ი :

1934 წ. შემოსავალი 25.607.85
გასავალი 25.405.35
დარჩა 202.50.

სისტემური დახმარება მიიღო 18 ავადმყოფმა, ერთდროული 32-მა.

1935 წ. შემოსავალი 11.012.15
გასავალი 10.232.95
დარჩა 779.20.

სისტემური დახმარება მიიღეს 9 ავადმყოფმა, ერთდროული 25-მა.

1936 წ. შემოსავალი 2.094.20
გასავალი 2.272.65
დეფიციტი 178.45.

1937 წ. შემოსავალი იყო:

მთავრობიდან 500 ფრ.
შემოწირულებანი და საწევრო გადას. 1.927 ფრ.
ღია ბარათების გაყიდვით 1.304 ფრ.
სულ 3.731 ფრ.*)

ხარჯი იყო:

ავადმყოფებს მიეცათ დახმარება 2.750
საახალწლო საჩუქ. დაგზანა და დამზადება 100
ღია ბარათების დაბეჭდვა 540
სხვადასხვა წვრილი ხარჯები 140.90
სულ 3.530.90

1938 წლ. იანვრის 1-სათვის კასაში დარჩა 200.10

ამ წლის განმავლობაში კომიტეტს ჰყავდა საზრუნავი თორმეტი ავადმყოფი, ამთგან სამწუხაროდ გარდაიცვალა ორი, მორჩა ერთი, საავადმყოფოშია ერთი, სანატორიუმში ორი, დანარჩენი თავის ბინაზე არიან.

მიღებულია პოლონეთიდან გენ. ბაგრატიონისგან 420 ფრ. «ვეფ. ტყაოსანი» საგან ბალეტის მოსაწყობად.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე მ ი
(გაზეთებიდან)

მზადდება გამოსაცემად ქართულ ზღაპრების (3 ათასამდე) კრებული ხუთ ტომად. პირველი ტომი გამოვა ამ ზაფხულზე.

— დოცენტმა ი. აბულაძემ სომხეთში აღმოაჩინა მე-15 საუკ. პირველ საუკუნის ხელნაწერი სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს 12 სხვადასხვა ენის ანბანს და მათ შორის ალბანური ენის ანბანს, 52 ნიშნისაგან შემდგარს.

— მალე გამოვა «ქანური ტექსტი» შეკრებილი ს. ქლენტის მიერ, ა. ჩიქობავას რედაქციით, აგრედვე «სვანური პროზული ტექსტები» ა. შანიძის და ვ. თოფურისას რედაქტორობით.

— პულკოვის ობსერვატორიის წინადადებით პლანეტათა შემსწავლელ საერთაშორისო ბიურომ ერთ-ერთს ახლად აღმოჩენილ პლანეტას დაარქვა შოთა რუსთაველის სახელი.

— ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლში გაიხსნა მისი სახელობის მუზეუმი.

მ ო წ ო ღ ე მ ა

ქართველ კოლონიას მოეხსენება, რომ უცხოეთში ყოფნის დროს ვერსად შესდგა ხეირიანი გუნდი, რომ ქართული ხალხური სიმღერები გაეცნოთ, როგორც უცხოელებისთვის, აგრედვე ჩვენი მოხარდი თაობისათვისაც.

ამჟამად პარიზში დაარსდა ასეთი გუნდი ფილარმონიული წრის სახით. ახალგაზრდობა, რომელიც მას ხელმძღვანელობს, მოწადინებულია სულითა და გულით ეს საქმე დონეზე დააყენოს და არ დაზოგავს არც ძალღონეს და არც დროს, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. სათავეში ამ გუნდს უდგანან გამოცდილი ხელმძღვანელები, როგორიცაა ბ. ნი პ. მოსულიშვილი და გ. პონომარენკო. მაგრამ გუნდს არავითარი საღსარი არ აქვს და ყოველი რეპეტიცია კი ჯდება 50 ფრანკამდე. ამიტომ მოუწოდებთ ყველა ქართველ დაწესებულებას, საზოგადოებას და კოლონიის წევრთ გაგვიწიონ, როგორც მატერიალური ისე მორალური დახმარება. რათა ამ გუნდის მუშაობა მივიყვანოთ პირველ კონცერტამდე. შემდეგ კი გუნდი, იმედია, თითონ გაიკვლევს გზას და მუდმივ ორგანიზაციად იქცევა. ყოველივე შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული და სია შემომწირველთა და ანგარიში გამოქვეყნებული.

შემოწირულება მიიღება ბ-ნ ი. გოგოლაშვილთან ოფისში 38 rue Boileau. Paris 16.

გუნდის მონაწილეობით
ვ. ფალავა, ვ. ხომერიკი.

*) გამართული საღამოთგან შემოსავალი შევა 1938 წლის ანგარიშში.